საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 21 (253). გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 13 ნოემბერი

ოქტომბრის ზეიმი

ნევაზე იქუხა „ავრორამ“ და ახალი ქვეყნის დაბადება ამცნო კაცობრიობას.

ქვეყანა პროლეტარული იყო. მუშურ-გლეხური მთავრობით, დანგრეული, მოშლილი ეკონომიკით, დიდი გაჭირვებითა და შემოსეული უთვალავი მტრით.

ქვეყნის მძიმე ჭაპანს ერთგულად ეწეოდა კომუნისტთა და კომკავშირელთა მტკიცე არმია. სათავეში ედგათ ნათელი იდეალების მატარებელი დიდი ლენინი, რომელმაც შეძლო ხალხთა საუკუნოვანი სანუკვარი ოცნების განხორციელება. ახლა კი თითოეულ შრომელში ნერგავდა უკეთესი მომავლის რწმენას...

და ჩვენ მოვედით დღევანდელობამდე.

პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ არსებობის 53 წელი იზეიმა. უკან დარჩა ბრძოლებისა და შენების ისტორიული წლები — ნეპის პერიოდი და პირველი კოლექტივიზაციის ხანა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ფაშიზმთან და ჩვენი მართალი საქმის გამარჯვება.

დღეს კი, ვცხოვრობთ ისე, როგორც ეს უნდოდათ ჩვენს დიდ წინაპრებს.

ვაშენებთ სახლებს და სასახლეებს, კაშხალებსა და ელექტროსადგურებს.

ვეძიებთ სიახლეს მეცნიერებასა და ბუნებაში.

ვიბჟრობთ კოსმოსს.

ვართ ძლიერნი და განუყოფელნი. ყოველივე ისეა, როგორც ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებელმა დიდმა ლენინმა გვიწინასწარმეტყველა.

ნევაზე მაშინ „ავრორამ“ იქუხა და კაცობრიობას ახალი ქვეყნის დაბადება ამცნო. 7 ნოემბერი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდ დღესასწაულად გადაიქცა.

თბილისური შემოდგომის ფერადებში ალისფრად ელვარებს დიდი ოქტომბრის სადღესასწაულო მორთულობა.

ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მეთაურები, შრომის დამკვრელები, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის მოღვაწენი, გენერლები და ოფიცრები.

იწყება პარადი. მოდის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოთა ოფიცრების კოლონა. მტკიცედ მოაბიჯებენ ავიატორები, მესაზღვრეები, მეზღვაურები, რუსთაველის გამზირზე შემოდის სამხედრო ტექნიკა — ჯავშანტრანსპორტიორები, ყველა კალიბრის ზარბაზნები, სხვადასხვა სისტემის რეაქტიული ქვემეხები.

მოდიან მშრომელები, თბილისის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, ინჟინრები და ტექნიკოსები. მათ პლაკატებზე გამოსახული ციფრები გვამცნობენ ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს.

დიდ დღესასწაულს ზეიმობენ ძველი ბოლშევიკები, სამოქალაქო და სამამულო ომების ვეტერანები. ზეიმობენ სტუდენტი ჭაბუკები და ქალიშვილები. ჟრიამულით მორბიან პატარები, უმღერიან სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ბედნიერ ბავშვობას.

საქართველო ოქტომბრის რევოლუციის 53 წლისთავს ზეიმობს. ქართველი ხალხი მზად არის მთელი თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და შრომა მოახმაროს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საშვილიშვილო საქმეს.

მრავალჟამიერ

ანა კალანდაძე

შენს ლურჯ მწვერვალებს, თოვლი რომ ფარავს
თერგს და დარიალს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
შენს შმაგ ჩანჩქერებს, მთებიდან ბარად
რომ იჩქარიან,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
შენს მამაც გმირებს — გზა საომარი
მხნედ რომ გალიეს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
თავისუფლების, შრომის და ბრძოლის
ძლიერ არმიებს,
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
შენს დნეპრს და ვოლგას, დონსა და არაგვს,
ამუ-დარიას,
ახალ მშენებლებს — დიდება მარად,
მრავალჟამიერ!
მალე დაატკბობს შრიალი ხეთა
მიწას გვალვიანს...
მშვიდობა, მარად მშვიდობა შენდა,
მრავალჟამიერ!
ზურგში თუ ფრონტზე გზა საომარი
ძლევით გალიე,
ჩემო სამშობლოვ, დიდება მარად,
მრავალჟამიერ!









სურათებზე: ზეიმობს საქართველო. ალისფერი დროშების ტევრში მოაბიჯებენ თბილისელი ჭაბუკები, ღვინით სავსე ფიალებით მოგზგმანობენ ქალიშვილები (მარჯვნივ);

ოქტომბერს გაუმარჯოსო — ერთსულოვანი შეძახილებით ახმაურებენ კოპწია სოხუმს მისი მკვიდრნი (მარცხნივ);

ოქტომბერს გაუმარჯოსო — ჟრიამულით მორბიან პატარა ჯუთაისელები.

თბილისის სტუმრები

● საქართველოში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგი ალექსანდრე კორნეიჩუკი. სტუმარს განსაკუთრებული გულთბილი შეხვედრა მოუწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა, რომელიც დასადგმელად ამზადებს კორნეიჩუკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს „ხსოვნა გულისა“.

● თბილისში გამართულ ქართველ მშვიდობის-მომხრეთა აქტივის კრებას დაესწრო და საქართველოში რამდენიმე დღეს დარჩა სტუმრად საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, ცნობილი მწერალი ბორის პოლევოი.

ალექსანდრე კორნეიჩუკი და ბორის პოლევოი მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მზავანაძემ.

● რამდენსამე დღეს იმყოფებოდა ჩვენს დედაქალაქში ლენინური პრემიის ლაურეატი, ცნობილი ჭირურგი თეიმურაზ უგლავი. როგორც ცნობილია, იგი სათავეში უდგას ლენინგრადის პულმონოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში. ინსტიტუტის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს რესპუბლიკებში შექმნას პულმონოლოგიური განყოფილებები, რომლებშიც გაერთიანდებიან მედიცინის ადგილობრივი სპეციალისტები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

11 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საკითხი — „ტექნიკური პროგრესი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“.

შემდეგ განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. აკადემიკოსი გიორგი წერეთელი მისივე თხოვნით გაათავისუფლეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიკოსი, პოეტი ირაკლი აბაშიძე.

სოციოლოგთა ფორუმზე

წელეულს სექტემბერში სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესი პირველად გაიმართა სოციალისტურ ქვეყანაში—ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ვარნაში. საინტერესოა, რომ საბჭოთა მეცნიერები ამ კონგრესის საქმიანობაში 1959 წლიდან ჩაებნენ. მაშინ, მეოთხე კონგრესზე იტალიაში, საქართველოდან მხოლოდ ერთი მეცნიერი მონაწილეობდა, მეექვსეში, რომელიც 1966 წელს საფრანგეთში გაიმართა — 2 მეცნიერი, ხოლო წელეულს, მეშვიდე კონგრესზე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო ოთხი ქართველი მეცნიერი — პროფესორები პაატა გუგუშვილი, მიხეილ გეგეშიძე, ვენორ ქვაჩაძია და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ანზორ გაბიანი.

— წელეწადნახევრის წინ, ფორუმის მუშაობაზე, — განაცხადა სამივე კონგრესის უკვლელმა მონაწილემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა პაატა გუგუშვილმა, — მონაწილეობდნენ ხუთიოდე კონტინენტის სოციოლოგები. პლენარული სხდომა გაიხსნა ვარნის კულტურისა და სპორტის სასახლეში, რომელიც 5.000 კაცს იტევს. კონგრესს მისალმა ბულგარეთის მთავრობის თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ სოციოლოგიას პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების კარდინალურ პრობლემებთან. იგი შეეხება ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანის ბედს, მთელი კაცობრიობის დღევანდელ და ხვალინდელ დღეს. სწორედ ეს განსაზღვრავს ამ კონგრესის მთავარი თემის — „თანამედროვე და მომავალი საზოგადოება, მეცნიერული წინასწარხედვა და სოციალური გეგმიანობა“ — უდიდეს მნიშვნელობას.

კონგრესის მუშაობაში აშკარად იგრძნობოდა სოციალისტური ქვეყნების, კერძოდ საბჭოთა სოციოლოგების წამყვანი როლი. საქმე ის არის, რომ მარქსისტული სოციოლოგია სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს მთელ მსოფლიოში. კონგრესზე არაერთხელ აღინიშნა, რომ მხოლოდ მარქსისტული სოციოლოგია იძლევა მეცნიერულ გასაღებს ხალხთა ცხოვრების უკეთესი მომავლისათვის, რომ მხოლოდ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში შეიძლება ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე აგებული სოციალური გეგმიანობა და მისი წარმატებით განხორციელება მოსახლეობის მთელი მასების საკეთილდღეოდ.

კონგრესის ერთ-ერთ სპეციალურ სექციაში მოხსენებით—„შრომის მწარმოებლურობის პრობლემა ეკონომიკური ზრდისა და გეგმიანობის მეცნიერული საფუძვლების ასპექტში“ — გამოვიდა ჩვენი თანამემამულე პროფესორი პაატა გუგუშვილი.



ქართულ უნივერსიტეტს — საპატიო ჯილდო

ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული მეცნიერების ტაძარს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსების 50 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ჭეშმარიტად დიდი დღესასწაული იყო.

ახლაც ზეიმია საქართველოს უპირველეს უმაღლეს სასწავლებელში: მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში დამსახურებისა და მეცნიერული კვლევის განვითარებაში მოპოვებული მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით ცოდნის დიდი ტაძარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან

გაზეთ „იზვესტიას“ 1970 წლის 5 ნოემბრის ნომერში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა აკადემიის ნამდვილ წევრად და აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ასარჩევ კანდიდატთა სია. მასში ჩვენი თანამემამულენიც არიან.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ასარჩევ კანდიდატთა შორის დასახელებული არიან: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ანდრია ბიწაძე** (მათემატიკის განყოფილება), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თეოფანე დავითაია** (ოკეანოლოგიის, ატმოსფეროს ფიზიკისა და გეოგრაფიის განყოფილება), საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **შალვა ამირანაშვილი** (ისტორიის განყოფილება), საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვიქტორ ჩხიკვაძე** (ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილება).

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ასარჩევ კანდიდატთა შორის დასახელებული არიან: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ჩიქოვანი** (ლიტერატურისა და ენის განყოფილება), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რევაზ გამყრელიძე** (მათემატიკის განყოფილება), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ალბერტ თავხელიძე** (ბირთვული ფიზიკის განყოფილება) და **ირაკლი გვერდწითელი** (ფიზიკა-ენერგეტიკის ტექნიკურ პრობლემათა განყოფილება), ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **ჯერმენ გვიშიანი** (ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილება), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე მითაიშვილი** (ეკონომიკის განყოფილება).



ლონდონური შტრიხები,

ანუ DO YOU SPEAK GEORGIAN?

გაგზავნეთ ლონდონში ფილოსოფოსი, მაგრამ, ღვთის გულისათვის, პოეტი არ გაუშვათო, — წერდა დიდი ხნის წინათ ჰაინრიხ ჰაინე თავის დიდებულ წიგნში „მოგზაურობის სურათები“. მე არ ვეკუთვნი ფილოსოფოსთა და, მეტადრე, პოეტთა რიცხვს, ამიტომ როგორც რიგითი რეპორტიორი, გიამბობთ მხოლოდ იმას, თუ როგორ შევხვდი ქართულად მოლაპარაკე სამ კაცს ინგლისის თერთმეტმილიონიან დედაქალაქში.

I.

ორმოც წუთს მივფრინავდით უზარმაზარი გაჩირაღდნებული ქალაქის თავზე და როცა შემდეგ აეროპორტის საბაჟო განყოფილების ჭაბუკ მოხელეთა თავაზიან მისალმებებსა და საბუთების ტრადიციულ შემოწმებას ძალაუნებურად გავუჩერდით, ვიგრძენი, რამდენიმე წუთიც და განთქმული ქალაქი შეძლებისდაგვარად გაგვიხარებდა თავის ხილულ თუ უხილავ შეგრძნებებს. თვალი მიმოვავლე იქაურობას. აგერ იაპონელი მგზავრები გადიან სათანადო პროცედურას, იქით ინდოელები ელოდებიან თავიანთ რიგს და პატარა შავგვრემანი, თვალებბრიალა გოგონა რაღაცას ეჭირვეულება დედას. ერთ-ერთ გასასვლელთან, საიდანაც ჩვენ უნდა გავსულიყავით, ერთ მაღალ ახალგაზრდა მამაკაცს მოვკარი თვალი. რაღაც ძალზე ნაცნობი სახის ნაკვთები ჰქონდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტანის მოყვანილობა და დგომის მანერაც კი საოცრად მეცნო. ასეთები ხომ გუშინ დავტოვე თბილისში მრავალ ჩემს ნაცნობ-მეგობართა შორის. იდგა და ელაპარაკებოდა აეროპორტის წარმომადგენლებს. ჩვენც ვიდექით თავაზიან გრძელტომიან მოხელეებთან, ოღონდ არ ვლაპარაკობდით — ისინი რაღაცას გვიწერდნენ საბუთებში. მოვუბრუნდი თბილისიდან ჩემთან ერთად წამოსულ კოლეგა-თანამემამულეს და ვუთხარი — თუ ძმა ხარ, ერთი იმ კაცს შეხედე, ნაღდი ქართველი არ არის-მეთქი? და მივახედე. ამ დროს იმანაც გამოგვხედა. თვალი გაუბრწყინდა. უხმოდ, ხელის ქნევითა და ღიმილით მივესალმეთ ერთმანეთს.

ეს იყო ალექსანდრე ჩიკვაიძე, საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი ლონდონში. კლასიკური თბილისელი ლონდონში — თავისი კეთილი სტუმართმოყვარე ოჯახით — მეუღლით, ორი ვაჟკაცითა და ჭეშმარიტი ქართველობით, რასაც თურმე (იქ ყოფნის დროს ნათლად ვიგრძენი) ასე აფასებენ და პატივს სცემენ ასპროცენტიანი ლონდონელი ინგლისელებიც კი, უცხოელთა მიმართ თავიანთ კონსერვატორულ მოსაზრებათა მიუხედავად. ინგლისის მიწაზე დამხვდური ეს პირველი ქართველი ბოლოს ის კაციც აღმოჩნდა, უკვე სამშობლოსაკენ მომავალთ გეოგრაფიული სიშორით გამოწვეული სევდანარევი ჩვენებური ხუმრობით და წრფელი „დროებით დაშლით“ რომ გვაცილებდა.

— აბა, მშვიდობით იმგზავრეთ! მოკითხვა ჩვენებს!..

ორ-სამ წელიწადში ალექსანდრე ჩიკვაიძე დაასრულებს თავის სამსახურს უცხოეთში და ჩვენ მას უკვე ქართულ მიწაზე შეხვდებით.

II.

— მისტერ მჭედლიშვილი!..— დამიძახა ვიღაცამ დილით სასტუმრო „როიალ ჰოტელიდან“ გამოსულს. მივიხედე. ტიპური ინგლისური სახის თვალმოცინარი, შუახნის მაღალი მამაკაცი ხელს მიწვდის და ძლიერი უცხოური აქცენტით წარმოთქვამს ქართულ სიტყვებს:

— გამარჯობათ! მე ვარ პროფესორი დავით ლანგი. თქვენ...

ასე გავიცანი ცნობილი ქართველოლოგი, ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის მოამაგე ინგლისელი მეცნიერი, მრავალჯერ რომ უყოფილა საქართველოში და მისი პირადად გაცნობა კი დღეს რახელ ხტრიტზე მხვდა წილად. სხვათა შორის, დიდებული ამინდი იდგა მაშინ — მზიანი, თბილი და კარგი განწყობილების მომტანი. ოქტომბრის მეორე ნახევარი! შემოდგომა! მაშ ხად გაქრა თქვენი უბადლებული ნისლიანი ალბიონი, ლონდონელო უურნალისტებო! თუმცა, რა ჩვენი საქმეა, იქნებ „ნისლსა და ბურუსში“ უფრო უკეთ იწერება რეპორტაჟები და კორესპონდენციები.

პროფესორ დავით ლანგს აინტერესებს ჩემი ჩამოსვლის მიზანი, დღის განრიგი და, კერძოდ — როდის გავთავისუფლდები ნორმალურ პირობებში შეხვედრისა და საუბრისათვის. როდის და — საღამოთი. კეთილი და პატიოსანი. ო კეი! აი ჩემი სადარბაზო ბარათიც, აქვე, ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ და გთხოვ აუცილებლად მეწვიოთო.

საღამოს გვიან დავბრუნდი სასტუმროში. ის იყო, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ქალაქში გასასვლელად მოვემზადე, რომ კარზე დააკაკუნეს.

— ოჰ, ბატონო დავით, მობრძანდით!

— რატომ არ მოხვედით? მე გელოდით... თუ არ ვცდები, ჩვენს ქვემოთ ჰოლში, საკმაოდ სიმპათიური ბარი უნდა იყოს. თქვენ უკვე მზადა ხარ?

ვასილ მჭედლიშვილი,
„სამშობლოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

სურათზე: დილა რახელ სტრიტზე.

ავტორის ფოტო

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გარდაიცვალა ემანუილ აფხაიძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 71 წლის ასაკში გარდაიცვალა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი ემანუილ აფხაიძე.

სათეატრო ხელოვნების თაყვანისმცემლებმა მისი სახით დაკარგეს სცენის ნიჭიერი ოსტატი, კომედიური და სახასიათო როლების ბრწყინვალე შემსრულებელი, ქართული საბჭოთა ესტრადის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელიც 50 წელი თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

ემანუილ აფხაიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული თეატრისათვის.


მხატვრის ალიარება

ქართული მოზაიკური ხელოვნება უძველესია. დღესაც აღფრთოვანებას იწვევს გელათის, წრომის, ძველი ბიჭვინთის მოზაიკა. რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ზურაბ წერეთელი ეროვნული ხელოვნების ამ დიდებული ტრადიციების თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ქართველი მხატვრის მოზაიკური პანოები ამშვენებს ბიჭვინთის ახალ კურორტს. ნიჭიერი ხელოვანის დიდებული მოზაიკური კომპოზიციები ბევრ შენობას ამკობს თბილისსა თუ ულიანოვსკში. სწორედ ამ ნამუშევრებისათვის ზურაბ წერეთელი სახვითი ხელოვნების დარგში 1970 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილნი

აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე



● თბილისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა მე-9 სრულიად საკავშირო ყრილობა. პარალელურად მოეწყო საერთაშორისო გამოფენა — „რენტგენო-რადიოლოგია-70“, რომელშიც ოცდაათი სახელმწიფო მონაწილეობდა.

ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გიორგი ზედგენიძე. გთავაზობთ ნარკვევს, რომელიც ამ დიდი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

საიდან დავიწყოთ? ალბათ ბავშვობიდან აჯობებს. გინდათ „სამშობლოს“ მკითხველს წარუდგინოთ აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ აკადემიკოსებსაც ჰქონდათ ბავშვობა...

— თუ რამ კარგია ჩემში, დედას უნდა ვუმადლოდე, მან შეიბჭვია ბეჯითობას, შრომის სიყვარულს, პატიოსნებას...

ასე დაიწყო თავისი ბიოგრაფია ჩვენმა საამაყო თანამემამულემ, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერმა, ობნინსკის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელმა და მისმა უცვლელმა დირექტორმა აკადემიკოსმა გიორგი ზედგენიძემ.

დაიბადა გორის რაიონში, სოფელ მეჯვრისხევში. 1920 წელს გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა და თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს მიაშურა. ბედმა მოწყალე თვალით გადმოხედა სწავლასმოწყურებულს — რჩეულთა შორის რჩეული პედაგოგები მიუჩინა: პეტრე მელიქიშვილი, სიმონ გოგიტიძე, ალექსანდრე ნათიშვილი, მიხეილ ასათიანი...

ექიმის დიპლომი 1926 წელს მიიღო. მალე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის უფროსი ექიმი შეთავსებით უნივერსიტეტის რენტგენოლოგიის კათედრაზეც თანამშრომლობდა.

გავიდა წელი-წყალწაღებული და სამხედრო ტანსაცმელი გაიხადა. უნივერსიტეტმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლენინგრადში მიავლინა...

და აი გიორგი ზედგენიძის ცხოვრებაში იწყება ახალი ეტაპი, გზა, რომელმაც ჩვენი მიწის შვილს მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერს ლენინგრადის I სამედიცინო ინსტიტუტში იწვევენ ლექციების წასაკითხად, პარალელურად კი საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერ იუსტინე ჯანელიძის კლინიკაში განაგრძობს მუშაობას. 1934 წლიდან, როდესაც გიორგიმ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტში რენტგენოლოგიის კურსის შესწავლას. გავიდა სულ რაღაც ორი წელი-წყალი და ჩვენი თანამემამულე სადოქტორო დისერტაციას იცავს. ლენინგრადის I სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრის გამგე უკვე პროფესორად იწოდება.

1940 წელს გიორგი ზედგენიძე ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გადავიდა სამუშაოდ.

დაიწყო სამამულო ომი. აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ფლოტის მთავარი ქირურგის იუსტინე ჯანელიძის თაოსნობით მთავარსარდლობას ლენინგრადში დარჩენის ნებართვა სთხოვეს და მართლაც, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო, აკადემიას ლენინის ქალაქი არ დაუტოვებია.

ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე წლებში გამოვლინდა გიორგი ზედგენიძის ორგანიზატორული ნიჭი. სწორედ მას დაევალა აკადემიის ევაკუაცია ლენინგრადიდან და ქალაქ კიროვში მისი აღორძინება...

მტერზე გამარჯვების შემდეგ პროფესორი კვლავ მეცნიერული ცხოვრების შუაგულშია. რენტგენოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი მისი გამოკვლევები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, 1957 წელს გიორგი ზედგენიძეს სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ.

იმავე წელიწადს მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება — ჟენევის კონფერენციის მონაწილეები ატომური ენერგიის მშვიდობიან ცხოვრებაში გამოყენების აზრს იწონებენ და მას კანონის ძალას აძლევენ. საბჭოთა მეცნიერები, მათ შორის გიორგი ზედგენიძეც, აყენებენ წინადადებას შეიქმნას სამედიცინო ინსტიტუტი, სადაც ატომური ენერგია ფართოდ იქნება გამოყენებული. წინადადებას იწონებენ. ინსტიტუტის მშენებლობა, მისი მოწყობა და გაძღოლა გიორგი ზედგენიძეს დაევალა. ასეთ პატივს შეიძლება სხვისთვის თავბრუ დაეხვია. გიორგიმ კი განაცხადა — ინსტიტუტს იმ შემთხვევაში ჩავუდგები სათავეში, თუ მის პროექტში ჩემს მიერ წამოყენებულ ყველა წინადადებას გაითვალისწინებთო. დათანხმდნენ. დაიწყო მშენებლობა და სულ მალე მოსკოვის მახლობლად, ობნინსკში წამოიჭიმა სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტი 12 დიდებული კორპუსით. დღეს ინსტიტუტის თანამშრომელთა განკარგულებაშია 14 საცხოვრებელი სახლი, 2 საბავშვო ბაღი, სპორტული მოედნები და სხვა.

ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად ახალ ინსტიტუტში ბევრი რამ გაკეთდა. შემუშავებულია თირკმლების, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის დაავადებათა ამოცნობა-გამოკვლევის ახალი მეთოდები, მიმდინარეობს მათი მკურნალობა რადიაქტიური იზოტოპებითა და ბირთვული სხივებით. აქვე საკმაო წარმატებით ებრძვიან ავთვისებიან სიმსივნეებს.

ინსტიტუტში არის როგორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური განყოფილებები. ერთიც და მეორეც დაკომპლექტებულია ცნობილი მეცნიერებით, აღჭურვილია უახლესი სამკურნალო აპარატურით.

ობნინსკში სხვების მხარდამხარ ქართველი მეცნიერებიც — რიჩარდ გაბუნია და მერაბ მირიანაშვილიც მუშაობენ. ახლა ძნელიც არის იმის ზუსტად დადგენა, თუ რამდენმა ექიმმა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით. მათ შორის, ვისაც თვით მეცნიერი იხსენებს, არიან გიორგი ნაზარიშვილი, დავით მიქელაძე, ილია ზედგენიძე, ამირან ჩაჩავა, თინა ბარამიძე, რუსუდან ცომაია, ბეჟან კაპანაძე...

ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რადიოლოგებთან. აქ ხშირად ჩამოდიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან თუ პოლონეთიდან, საფრანგეთიდან თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, კანადიდან თუ ავსტრიიდან. თვითონ პატივცემული გიორგი უკანასკნელი 8-9 წლის მანძილზე უცხოეთის ქვეყნებს რამდენჯერმე ეწვია (მაგალითად, 12-ჯერ იყო საფრანგეთში).

ძალზე სასიამოვნო გამოდგა იმის გაგება, რომ სწორედ საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის წინადადება იქნა მიღებული ატომური ენერგიის მშვიდობიანად გამოყენების საერთაშორისო ექსპერტის მიერ, რომელიც იხილავდა საკითხს, თუ როგორ ააშენონ რადიოლოგიის ინსტიტუტები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახლად აღორძინებულ ქვეყნებში.

ობნინსკის რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორზე, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ რადიოლოგზე წერა ალბათ დაუსრულებლად შეიძლება. მის მიერ გამოქვეყნებული ასობით ნაშრომიდან ერთის განხილვაც ნათლად დაგვანახებდა, რაოდენ დიდი მეცნიერია ჩვენი თანამემამულე. ჟურნალ „მედიცინსკაია რადიოლოგიას“ გადაეცურვება კი საშუალებას მოგვცემდა გავეცნობოდით, როგორ უჭირს კალამი მის რედაქტორს გიორგი ზედგენიძეს. საინტერესოა იმის ცოდნაც, რომ გიორგი ზედგენიძე არის საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის რადიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, საერთაშორისო ჟურნალის „რადიოლოგია და თერაპიის“ ერთ-ერთი თანარედაქტორი... მაგრამ ერთ საგანგებო წერილში ყველაფრის თქმა შეუძლებელია. დასასრულ ვიტყვით მხოლოდ ერთს — რენტგენოლოგებისა და რადიოლოგების IX საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან, რომელიც თბილისში გაიმართა, ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთიდან ჩამოსულ 1000-ზე მეტ დელეგატს დაწვრილებით გააცნეს სსრ კავშირში რენტგენოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა, მისი განვითარების პერსპექტივები. და თუ მსმენელები ერთხმაირად მოიხიბლნენ მედიცინის ამ დარგის როგორც აწმყოთი, ისე მომავლით, ამაში დიდი ღვაწლი ჩვენი მიწის შვილს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს გიორგი ზედგენიძეს მიუძღვის.

რევაზ მაჭავარიანი

საქართველოში, მდიდარი თეატრალური ტრადიციების ქვეყანაში, ბევრი თეატრია. მათ შორის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი გამორჩეულია.

იგი განსაკუთრებით უყვართ, განსაკუთრებით აფასებენ და მასთან შეხვედრას განსაკუთრებით ელიან.

სწორედ ასეთი განსაკუთრებით სასიამოვნო შეხვედრა იყო თეატრის წლევანდელი სეზონის გახსნაც.

ახალი სეზონი ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ დაიწყო. სპექტაკლი განაახლა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვასო გოძიაშვილმა, ლუარსაბის როლის ცნობილმა შემსრულებელმა. დარეჯანის სახე ამჯერად წარმოგვიდგინა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მარინე თბილელმა.

წლევანდელი სეზონი ბევრ სიახლესა და სიბარულს გვპირდება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად დანიშნულია საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი, რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე. მისი წინამძღოლობით თეატრი განსაკუთრებული აღმავლობით შეუდგა რეპერტუარის შერჩევა-განსორციელებას. მთავარმა რეჟისორმა დასადგმელად აირჩია ალექსანდრე კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“ და ფრიდრიხ შილერის „დონ-კარლოსი“. გუგა ნახუცრიშვილის მიერ „ათას ერთი ღამის“ მოტივებზე შექმნილ წარმოდგენას „ალი-ბაბას“ სცენაზე ხორცს შეასხამს რეჟისორი ლევან მირცხულავა. კოტე მახარაძემ თეატრისათვის მოამზადა ალექსანდრე ჭუთათელის „პირისპირის“ ინსცენირება. წლეულს დაიდგმება პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“. ეს ორი სპექტაკლი მიეძღვნება საქართველოს საიუბილეო თარიღს. რეპერტუარშია აგრეთვე იოსებ ბატონიშვილის „ქალმასობა“, ბულგაკოვის „მოლიერი“, ოლბის „ყველაფერი ბაღში“, კიტა ბუაჩიძის „მემკვიდრეობა“. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე დადგამს დელმარის პიესას „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“ და თვითონვე შეასრულებს მთავარ როლს.

როგორი უნდა იყოს დღეს მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებითი სახე?

ჩემთვის, როგორც თეატრის მთავარი რეჟისორისათვის, — ამბობს ბატონი დიმიტრი ალექსიძე — ეს საკითხი დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია. უხდა ჰქონდეს თუ არა ქართულ თეატრს ქართული სახე?. თეატრის სადაურობის მანიშნებელი მარტოოდენ ენა არ არის. ძრავალსაუკუნოვან ჭირ-ვარამს თუ დიდებაგამოვლილ ქართველ კაცს თავისი სახასიათო ბუნება, ტემპერამენტი, პლასტიკა და, ბოლოს, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები აქვს. სცენაზე უხმოდაც რომ მიმდინარეობდეს სპექტაკლი, უნდა იგრძნობოდეს თეატრის სადაურობა. ამ საკითხებზე თავის დროზე ბევრს ფიქრობდნენ და მუშაობდნენ კოტე მარჯანიშვილი და მისი ნიჭიერი მოწაფე სანდრო ახმეტელი. ამიტომ ჩვენ მოვალენიც კი ვართ, მათი წამოწყებული ექსპერიმენტები გავაგრძელოთ. ჩემი აზრით, უნდა განვავითაროთ ის ძირითადი პრინციპები, რაც მათ შემოქმედებას ახასიათებდა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ფართო დიაპაზონის მსახიობებისა და რეჟისორების აღზრდაა საჭირო. დღევანდელი თეატრი წარმოუდგენელია ერთიანი ანსამბლის გარეშე. ყოველი სპექტაკლი სიმფონიას უნდა ჰგავდეს. ამიტომ წლეულს თეატრალურ ინსტიტუტთან შეიქმნა რეჟისორ-მსახიობთა ექსპერიმენტული ჯგუფი, რომელიც ჩვენს თეატრს სპეციალურად მოუმზადებს მსახიობებსა და რეჟისორებს ისეთი სინთეზური ხელოვნებისათვის, როგორზეც ერთ დროს მარჯანიშვილი ოცნებობდა...

ჩვენი სურვილია თეატრში გატარებული ყოველი საღამო თბილისელთათვის ზეიმი იყოს — ხომ ამბობდა დიდი გოეთე, თეატრი ყველა ხელოვნების ზეიმიაო.

ნორჩების თეატრში

ორმოცდამესამედ გახსნა სეზონი თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა. თეატრის ცხოვრებაში წლეულს ბევრი სიახლეა. ნორჩი მაყურებელი კაპიტალურად შეკეთებულ, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ შენობაში მიიღეს. მოამზადეს ახალი დადგმები და განახლებული სპექტაკლები. თეატრალურ დასს შეემატა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი.

წლევანდელი პროგრამის შესახებ გვესაუბრება თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორი მახატანგ ლოლაძე, რომელიც რამდენიმე დღეა დაბრუნდა ვენაში გამართული მსოფლიო საბავშვო თეატრების გაერთიანების სესიიდან.


— წლევანდელ სეზონში მოსწავლეებს რამდენსამე ახალ სპექტაკლს ვუჩვენებთ. პირველ რიგში მინდა დავასახელო გივი ჭიჭინაძის „უცნაური ბიჭი“, რომელიც დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ. თეატრმა გაახალა მოლიერის „სკაპენის ოინები“, დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“, რომლებიც ერთ სპექტაკლად არის შეკრული.

თეატრის ნორჩი მაყურებლები კვლავ გაიხარებენ გუგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექიათი“, შვარცის — „წითელქუდათი“. ახლად დაიდგმება „დონ სეზარ დე-ბაზანი“ და „კიკვიძე“. ამ სპექტაკლებში სათამაშოდ მოვიწვიეთ ცნობილი ქართველი მსახიობები კოტე მახარაძე და ედიშერ მაღალაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად რეჟისორი თენგიზ მაღალაშვილი დგამს ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“. ამავე თარიღს ეძღვნება დრამატურგ რეზო ებრალიძის სპექტაკლი „ზოია რუხაძე“.

ასე რომ, წლეულს ნორჩებს მათი საყვარელი თეატრი გულუხვ მასპინძლობას გაუწევს.

ნინელი ჟღენტი



ქართული ცეკვა, ვიტალი დვალის ფოტო

შოთაობა იყალთოში


25 ოქტომბერს იყალთოში გაიმართა ტრადიციული დღესასწაული შოთაობა. აკადემიის ძველ კედლებთან მაგიდას უსხედან გამორჩენილი ქართველი მწერლები, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნობილი მოღვაწენი, უცხო სტუმრები. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შათირიშვილი**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ბესარიონ ჭლენტი**, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე **დოდო ანთაძე**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **მიხეილ ჭიაურელი**, სახალხო არტისტი **დიმიტრი მჭედლიძე**, მხატვართა კავშირის მდივანი **ჟანი მეძმარიაშვილი**, კომპოზიტორთა კავშირის მდივანი **გულბათ ტორაძე**, **კარლო კალაძე**, **გივი გაჩეჩილაძე**, **მურმან ლებანიძე**, **ნიკა აბიაშვილი**, **ლადო სულაბერიძე**, უნგრელი კომპოზიტორი **ფერენც ჭაროში**. მსახიობი **გურამ საღარაძე** დიდი ოსტატობით კითხულობს ნაწყვეტს „ვეფხისტყაოსნიდან“.

შემდეგ დამსწრეთ თავიანთი შემოქმედება გააცნეს **სიკო ჩანგაშვილმა**, **ვანო მრელაშვილმა**, **არჩილ შიშმანაშვილმა**, **დალი შიშმანაშვილმა**, **ზურაბ კუტიბაშვილმა**, **შოთა ხოდაშენელმა**, **თინა ლაზარიაშვილმა**. სახელდახელო უიურიმ პირველი ჯილდო მიაკუთვნა ცნობილ მთქმელს **სიკო ჩანგაშვილს**. ჯილდოები გადაეცათ დანარჩენებსაც.

დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა სახალხო უნივერსიტეტების ცენტრალური საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლუდმილა დუბროვინა**, რომელმაც აღნიშნა, რომ იყალთოს უნივერსიტეტი ერთერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. მან საპატიო დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადასცა იყალთოს უნივერსიტეტს და ამ უნივერსიტეტისა და პლანეტის ყველაზე ხნიერ სტუდენტს, **95 წლის ნიკო პაპალაშვილს**.

იმავე დღეს გაიმართა შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით.

სახალხო ზეიმმა იყალთოში დიდხანს გასტანა.







იყალთოში გაისმნა რუსთაველის ქებანი

მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა — სახალხო უნივერსიტეტების ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტს „საუკეთესო სახალხო უნივერსიტეტის“ საპატიო სახელი მიენიჭა.

იყალთო ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფელია და მას დიდი, საინტერესო წარსული აქვს. შუა საუკუნეებში აქ კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. რვაასი ცხრაასი წლის წინათ მოქმედებდა საქვეყნოდ ცნობილი აკადემია, სადაც ასწავლიდნენ მეცნიერებას, კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმსა და მეგობრობას...

აკადემიისა და მისი სათავსების დიდებული ნანგრევები ისტორიამ დღემდე შეგვინახა. ჩვენმა თაობამ კი მათ შესანიშნავი პატრონობა გაუწია. აღადგინა მონასტერი, თანდათანობით პირველსახე ეძლევა მეცნიერების სავანეს. იყალთოელები აკადემიის გარემოს წმინდათა წმინდა ადგილად თვლიან, საგულდაგულოდ უვლიან. ცაში ატყორცნილა კვიპაროსები, შემოსასვლელებში ვაზის ხეივნები ჩამობურულა, მიმობნეულა ბზის ბუჩქები და ყვავილები, ფართოდ გაუშლია მხრები ველებრთელა ცაცხვს.

აქაურობა ადამიანებს განუზომელ მოკრძალებას აგრძნობინებს.

...ეს იყო 1963 წელს.

იყალთოს სასოფლო საბჭოში სახალხო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ წინადადებითა და პროექტით წარდგა ღვინის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი გიორგი შათირიშვილი.

სასოფლო საბჭომ, რაიონის თავკაცებმა მოიწონეს ახალგაზრდა სპეციალისტის აზრი. ჩამოყალიბდა დამფუძნებელი საბჭო, შედგა სახალხო უნივერსიტეტის სამუშაო გეგმა. გაიხსნა ოთხი ფაკულტეტი: ლიტერატურისა და ხელოვნების, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური.

გიორგი შათირიშვილი საქართველოს პირველი სახალხო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

საქმე „ნაბიჯებით დაიწყო“ — აკადემიამდე უვარგისი ბილიკი მდიოდა, ახლა კი იქ მოასფალტებულ შარაგზას მივყავართ.

მოიკირწყლა აკადემიის ჯარმიდამო, განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოები, სახე იცვალა თვით ხოფელმაც. სოფლის ყრილობამ საგანგებოდ განიხილა იყალთოს კეთილმოწყობის საკითხი. რაც დაადგინეს, სინამდვილედ აქციეს. ახლად ნაშენი სკოლა, სასადილო, უნივერმაღი და სასტუმრო ამშვენებს აქაურობას, სოფლის ნებით საეკლესიო დღესასწაული „ამაღლება“ „შოთაობამ“ შეცვალა. ეს გასაგებიც არის — ძველი ლეგენდის გადმოცემითა და იყალთოელთა ღრმა რწმენით აქ რუსთაველს უსწავლია.

და აი 1963 წლის 14 აპრილს უძველესი აკადემიის ნაფუძარზე სახალხო უნივერსიტეტი გაიხსნა. 150 ბაძენელის ნაცვლად პროფესორ შოთა მესხიას პირველ ლექციას — „XI-XII საუკუნეების ქართული კულტურა და იყალთოს აკადემია“ — 500 კაცი დაესწრო.

ახლა სახალხო უნივერსიტეტში თვეში ოთხჯერ იმართება მეცადინეობა, სასწავლო საათების რიცხვი კი წელიწადში 130-ს აღემატება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაკულტეტის მსმენელები ლექციებს ისმენენ ისტორიაში, ფილოსოფიაში, ეკონომიკაში, საერთაშორისო პრობლემებზე, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე კი ბოტანიკასა და ფიზიოლოგიაში, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, მებაღეობასა და მევენახეობაში.

საინტერესო ლექციები იკითხება აგრეთვე სამედიცინო, ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტებზე. ლექციებს ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები კითხულობენ. აქ ხშირად ნახავთ აკადემიკოსებს რაფიელ დვალს, გიორგი წერეთელს, ს. დურმიშიძეს, ე. გუგენი ხარაძეს, ალექსანდრე ბარამიძეს, შოთა ძიძიგურს, გიორგი ბერიძეს. მსმენელთა წინაშე მრავალგზის გამოსულან კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, რევაზ ლაბიძე. სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობებს ესწრებოდნენ სტუმრები საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან. როგორც წესი, მეცნიერები თავიანთ წიგნებს სამახსოვროდ ტოვებენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ლადო გუდიაშვილმა კი იყალთოს ძველად თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი მიართვა.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტს არასოდეს აკლებდა მზრუნველობას დიდი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე. იყალთოელთა ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების უცვლელი მონაწილე და სულისჩამდგმელია სანდოვანი მეცნიერი გიორგი ახვლედიანი.

...ეს იყო 1968 წელს. იყალთოს სახალხო უნივერსიტეტში ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია მიმდინარეობდა. გიორგი ახვლედიანი თავს შეუძლოდ გრძნობდა. მეგობრებმა გადაწყვიტეს მეცნიერი არ შეეწუხებინათ შორი მოგზაურობით. ბატონმა გიორგიმ როგორღაც გაიგო მათი განზრახვა და უნდა გენახათ, როგორ „განრისხდა“. იყალთოში ყველას ჩაასწრო, ავადმყოფობა არად ჩააგდო და საიუბილეო სესიის გაძღოლაც თვითონ ითავა...

სახალხო უნივერსიტეტს არსებობის მანძილზე სამი გამოშვება ჰქონდა. კურსდამთავრებულებმა სპეციალური დიპლომები მიიღეს. ახლა შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში 210 მსმენელია, მაგრამ ეს რიცხვი პირობითია. ლექციების დროს სოფლის 500-ადგილიან საკლუბო დარბაზში ტევა არ არის. ასეულობით ადამიანი ესწრება აკადემიის ნაფუძარზე გამართულ ღონისძიებებს, მეცადინეობებზე მოდიან თელავიდან, მეზობელი სოფლებიდან — რუისპირიდან, ვარდისუბნიდან, ზემო ხოდაშნიდან, ოქიოდან, მოდიან — გლეხები, მუშები, დიასახლისები, მოსამსახურეები, მოდიან — ახალგაზრდები, ჭარმაგები, მოხუცები...

95 წლის ნიკო პაპალაშვილი, რომელმაც ახლახან დაამთავრა სახალხო უნივერსიტეტი, ალბათ ყველაზე ხნიერი სტუდენტი იყო ჩვენს პლანეტაზე. გასულ საუკუნეში დაასრულა ნიკო პაპამ ოთხკლასიანი სასწავლებელი, მაშინ მეტი ვეღარ შეძლო ღარიბმა გლეხმა, სამაგიეროდ, რაც დააკლდა, ახლა შეიძინა.

აკადემიის შეღმართზე ერთი წყარო მოჩხრიალებს, კამკამა და ცივი. ზოგნი „შოთას წყაროს“ ეძახიან, სხვები „სიბრძნის წყაროს“, მესამენი ერთსაც და მეორესაც.

იყალთოელნიც რაღაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ წყაროს და მეცადინეობაზე მიმავალნი ხარბად ეწაფებიან მას. წყარო კი უშრეტია, იმ წიგნივით უშრეტი, შოთას სახელს რომ ატარებს და ქართველ კაცს სიბრძნის პირველ წყაროდ რომ მიაჩნია.

ლაშა გარეჯელი



სურათებზე: ზევიდან — იყალთოს მონასტრის ხედი; სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა ძველი აკადემიის ნაფუძარზე: მწერალი-აკადემიკოსი პრონსტანტინე გამსახურდია ესალმება უნივერსიტეტის მსმენელებს; ქვევით — პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, პროფესორი დჯიმ ლანგი (კახური ქუდით).

ჩუმი დუმილით ქრება მზის სხივი
აკადემიის ხავსიან ქვებზე.
ეძებს ათას წლის წინანდელ ლექსებს
იქნებ იპოვის, იქნება შეძლებს.
საღამოს, როცა ამოდის მთვარე
და დახავსებულ ქვებს ეფერება,
კედლები ჩუმად ახელენ თვალებს,
უცქერენ ასეთ საკვირველებას:
აქ რომ სწავლობდა, ჰო, ის ყმაწვილი,
ფხიანი სიტყვა ვისაც არ აკლდა,
როგორც მაღალ მთას ლაღი არწივი,
დიდ ოცნებებს რომ დაუბანაკდა,
ის პოეტი დგას. ქვა იფშვნეტს თვალებს,
ის არი. დგას და სოფელს უყურებს.
ზოგის ცხოვრება თავდება მალე,
ეს გადმოსულა რვა საუკუნეს.
ალბათ, სიბერემ ხელი დამრია,
ღვთაებას ვკითხავ, ჩემებრ ძველია.
— აგერ ის კაცი ხომ სტუმარია?
— რისი სტუმარი, მასპინძელია.
თენდება ჩიტთა ჟივილ-ხივილით,
მიწა სავსეა ყურძნის სურნელით.
გზებზე მოდიან ლაღი ღიმილით
მკლავძარღვიანი კოლმეურნენი.
შრომის სიმღერებს ჭარი იტაცებს,
მთებში უსმენენ ამ ხმებს საოცარს
და შრომით წერენ ქართულ მიწაზე
ახალი დროის „ვეფხისტყაოსანს“.

შოთა ხოდაშენელი

ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

მარტონ იშტვანოვიჩი



1955 წლის ოქტომბერია. ტელეფონით მიხმობს უნივერსიტეტის პრორექტორი, აწ განსვენებული პროფესორი სერგი უღენტი. შევდივარ მის კაბინეტში. მასპინძელი მაცნობს სასიამოვნო გარეგნობის, 25-26 წლის გამხდარ ახალგაზრდას. — ეს უნგრელი მოქალაქეა, მარტონ იშტვანოვიჩი, ბუდაპეშტიდან, ჩვენთან ჩაირიცხა ასპირანტურაში ფოლკლორის განხრით, შენ უნდა უხელმძღვანელო.

დავალება მივიღე, მაგრამ არ ვიცი, რა ენაზე ველაპარაკო, რუსულად მხოლოდ წერა-კითხვა და ორი სიტყვა — не знаю იცის. ქართულ ენაზე წარმოდგენაც არა აქვს. მიზანი კი, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მიზიან ზირის ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნით“ დიდი აღძრია. უნდა შეისწავლოს რუსთაველის ენა, ქართველი ხალხის დიდი პოეტური მემკვიდრეობა — დამწერლობაცა და ზეპირსიტყვიერებაც, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია.

ჩანაფიქრის განხორციელებაში მას აკადემიკოსი დიუსა ორტუტაი დახმარებია. იგი ჯერ კიდევ 1948 წელს ყოფილა საქართველოში უნგრელ მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელად. მასაც მოსწონებია ქართველი ხალხი. ახლა რომ მარტონ იშტვანოვიჩი გამოჩენილი ქართველოლოგია, ამას მის მასწავლებელს — ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დიუსა ორტუტაის უნდა ვუმადლოდეთ.

ჩამოვიდა მარტონი საქართველოში. დაიწყო მისი ურთიერთობა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან. პირველად ეს ურთიერთობა მხოლოდ გერმანული ენის საშუალებით მყარდება. მალე უნგრელი ახალგაზრდა ეუფლება რუსულ ენას. ჩვენც პირველად რუსულ ენაზე ვუტარებთ კონსულტაციებს. გული გვწყდება ორივეს — ქართული კულტურის საკითხებზე ქართულად რომ ვერ ვსაუბრობთ.

მარტონს ქართული ენის შესწავლაში ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ენათმეცნიერი ჭოლა თევზაძე. დღე დღეს მისდევს, თვე — თვეს და ჩვენი უნგრელი მეგობარი ჭოლამ ქართულად აალაპარაკა. სტუმარი ახლა უფრო გაბედულად ამყარებს კონტაქტს გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან: აკადემიკოსებთან კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძესთან, ალექსანდრე ბარამიძესთან, გიორგი ჩიტაიასთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ვარლამ თოფურიასთან და სხვებთან. მან ქართველ ახალგაზრდებშიც ბევრი მეგობარი შეიძინა. მოგზაურობს სოფლებში ენის გასატებად — თვეები გაატარა კაკაბეთში, შილდაში.

მეცნიერულ ძიებასთან ერთად მარტონმა ხელი მოჰკიდა მთარგმნელობით საქმიანობას. უშუალოდ ქართულიდან თარგმნა 32 ხალხური კლასიკური ზღაპარი. მის მიერ თარგმნილი ქართული ზღაპრების კრებული „მეფე და ტოროლა“ უნგრელი მხატვარი ჭალის ლილე ლორენტოს მშვენიერი ილუსტრაციებით 1958 წელს გამომცემლობა „ევროპამ“ გამოუშვა ბუდაპეშტში. ღამეებს ათენებს, მუშაობს გატაცებით, სწავლობს ქართული პოეტური ფოლკლორის ძეგლებს. წერს დისერტაციას თემაზე „ზღაპრის ტიპის „სჭესის მეტამორფოზის“ ქართული რედაქციის გენეზისის პრობლემა“.

1959 წლის ოქტომბერში, საქართველოში ჩამოსვლის ოთხი წლისთავზე, უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში კათედრაზე დგას უნგრელი ახალგაზრდა. გამართული ქართულით დარბაზში მყოფთ აცნობს დისერტაციის ძირითად დებულებებს — მისი კვლევის შედეგებს, ხაზს უსვამს ქართული ზღაპრების მსოფლიო მნიშვნელობას. ამტკიცებს, რომ ქართულ ზღაპრებში ერთად მოცემულია ისეთი მოტივები, რაც მხოლოდ ცალ-ცალკე შეიძლება იყოს დასავლურ თუ აღმოსავლურ ზღაპრებში. მსოფლიო ზღაპართმცოდნეობის საკითხები ქართული მასალების გარეშე ვერ გადაიჭრებაო, აცხადებს იგი. ოფიციალური ოპონენტები — პროფესორები ელენე ვირსალაძე და მიხეილ ჩიქოვანი უნგრელი მეცნიერის ნაშრომს საუკეთესო შეფასებას აძლევენ. აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ სიამოვნებით აღნიშნა უნგრელი ქართველოლოგის მიღწევები. მარტონს ერთხმად მიანიჭეს სამეცნიერო ხარისხი.

და აი იგი ბრუნდება მშობლიურ უნგრეთში. გამოდის საჭარო მოხსენებებით ქართული კულტურის საკითხებზე. ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ახალგაზრდობას ასწავლის ქართულ ენას, ქართულ ეპოსს. თარგმნის ძველი და ახალი ქართული მწერლობის კლასიკურ ნიმუშებს. პოეტ მარტონ კალანთან ერთად ქართულიდან თარგმნა ილია ჭავჭავაძის პოემები: „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „განდეგილი“. ეს პოემები უნგრულ ენაზე სათაურით „ღამის მხედარი“ 1961 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „ევროპამ“. პრესა გულთბილად გამოეხმაურა უნგრელი ქართველოლოგის ნამუშევარს. მარტონ იშტვანოვიჩს თარგმნილი აქვს აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ქმნილებანი.

მარტონ იშტვანოვიჩი 1965 წელს კვლავ ეწვია საქართველოს. მას აინტერესებს ხალხური ბალადის საკითხები. ჩემთან ერთად უნგრელ ქართველოლოგს კონსულტაციებს აძლევენ ელენე ვირსალაძე, მიხეილ ჩიქოვანი, ალექსანდრე ღლონტი და სხვა მეცნიერები. მარტონი ვალში არ რჩება ქართველ მასწავლებლებთან თუ მეგობრებთან. მან თარგმნა უნგრულ ენაზე ქართველ ფოლკლორისტთა ნარკვევები, დაწერა რეცენზიები, ზედიზედ აქვეყნებს ნაშრომებს ქართული ფოლკლორისა და მწერლობის საკითხებზე. 1968 წელს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების ტომში უნგრულ ენაზე დაბეჭდა კლასთა ბრძოლის ამსახველი ქართული ხალხური პოეზიისადმი მიძღვნილი ვრცელი ნარკვევი. მასში განხილულია მესტვირული არსენას ლექსი, გურული ფირალის ეპოსი და სხვა. იმავე შრომებში 1970 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ნარკვევი ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებზე, სადაც ლაპარაკია გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაზე.

უნგრელმა მეგობარმა მთელი ოჯახი — მშობლები, ცოლ-შვილი დააინტერესა ქართული კულტურის საკითხებით. მისი მეუღლე ჭალბატონი ვერა დღესასწაულებს ქართველ მეგობრებს ქართულ ენაზე გვილოცავს. ბინაში მარტონს უმდიდრესი ქართული ბიბლიოთეკა აქვს. რას არ ნახავთ აქ, უნიკალურ წიგნებსაც კი. ბიბლიოთეკას ამშვენებს წიგნები კორნელი კეკელიძის, არნოლდ ჩიქობავას, ალექსანდრე ბარამიძის, ვარლამ თოფურიასა და სხვების სამახსოვრო, გულთბილი წარწერებით.

ამჟამად ჩვენი უნგრელი მეგობარი ქართული ფოლკლორის კურსის გარდა ამზადებს სპეციალურ კურსებს — ქართული ენის საფუძვლები და ქართული საისტორიო მწერლობა (ლეონტი მროველი). ამ კურსებს წაუკითხავს იგი გაისად სტუდენტებს.

ქართველი მეცნიერები მუდამ მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ მარტონს მის კეთილშობილურ ქართველოლოგიურ მოღვაწეობაში.

პროფესორი
ჯემალ სიხარულიძე

საიუბილეო ნოგათები

ამალე ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს საიუბილეო თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ყველგან, რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში საიუბილეო სამზადისია. განსაკუთრებით ეს ითქმის წიგნის სამყაროზე, სადაც საიუბილეოდ მეტად მრავალფეროვანი ლიტერატურა გამოიცემა.

ამჯერად შევიხედოთ მხოლოდ ორ გამომცემლობაში.

„ხელოვნება“

გამომცემლობა „ხელოვნება“ მოზეიმე რესპუბლიკას საჩუქრად მიართმევს პრემირებულ წიგნს — „ხელნაწერების ალბომს“. ამ წიგნზე, მის რაობაზე ბევრი ითქვა, მან მსოფლიო აღიარება პოვა წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე.

საიუბილეოდ მზადდება ია მესხისა და ისაკ ტუნკელის ალბომი — „ქართული რვეულების“ სახელწოდებით. ალბომი შედგება 4 რვეულისაგან: 1. „მთა“, 2. „ბარი“, 3. „ზღვა“ და 4. „თბილისი“. მათში ასახულია დღევანდელი საქართველო, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული. ალბომში შეტანილია მაღალმხატვრული ფოტოები.

გამომცემლობა გვპირდება კიდევ ერთ საინტერესო საჩუქარს — „ქართულ საბჭოთა ლითონმჭანდაკებლობას“.

მზადდება აგრეთვე სერიული გამოცემა საბჭოთა ხელოვნების თემაზე. აქედან აღსანიშნავია ავტორთა კოლექტიური ნაშრომი — „ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება“, რომელშიც ფართოდ და მრავალმხრივად არის გადმოცემული ფერწერა, დაზგური გრაფიკა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება. ამავე სერიაში შედის ეთერ გუგუშვილის — „ქართული საბჭოთა თეატრი“. ფართო მკითხველისათვის არის გათვალისწინებული კორა წერეთლის დასურათებული მონოგრაფია — „ქართული საბჭოთა კინო“ და ანტონ წულუკიძის — „ქართული საბჭოთა მუსიკა“.

იუბილეს ეძღვნება ნოდარ ჯანბერიძის მეცნიერული მონოგრაფია „ქართული საბჭოთა არქიტექტურა“.

„დიდებულია საუკუნის ეს ნახევარი“ — ასეთი ეპიგრაფი ეკვნება მხატვრულად გადაწყვეტილ ფოტოალბომს, რომელიც განზოგადებულად ასახავს დღევანდელ საქართველოს.

„მერანი“

გამომცემლობა „მერანში“ კი ამ დიადი თარიღისათვის სპეციალურად მზადდება „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც შევა 1921-71 წლებში შექმნილი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

ანთოლოგიური ხასიათის ამგვარი კრებულებით ქართველი მკითხველი მაინც და მაინც არ არის განებივრებული. ამდენად ეს პირველი ცდა უთუოდ მნიშვნელოვანი და საგულისხმოა.

ანთოლოგია გამოიცემა რუსულ ენაზეც. თარგმანს შეასრულებენ ცნობილი რუსი პოეტები.

საიუბილეო დღეებში მკითხველი მიიღებს ქართულ ენაზე ოსური პოეზიის ბიბლიოთეკას, რომელიც 14 წიგნს შეიცავს. წელიწადის დამლევისათვის კი გამოვა აფხაზური პოეზიის ბიბლიოთეკა 18 წიგნის მოცულობით, სადაც შევა ხალხური და თანამედროვე პოეზია.

საიუბილეო თარიღს ეძღვნება ქართული საბჭოთა პროზის კრებული, რომელშიც ძირითადად თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები შევა.

ახალი წიგნები

„მითრიდატე“

● „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩვენი სახელგანთქმული მწერლის ლევან გოთუას ახალი, სქელტანიანი რომანის „მითრიდატეს“ პირველი წიგნი. იგი ასახავს უძველესი დროის ქართველი და ქართველური ტომების ცხოვრებას ქართული და უცხოური წყაროების გათვალისწინებით, მხატვრულ სახეებსა და ფართოდ მოხსენიებულ სურათებში აღადგენს ჩვენი ისტორიის ნაკლებად ცნობილ ან სულ დაკარგულ დიდმნიშვნელოვან ამბებსა და მოვლენებს, განსაკუთრებით — თითქმის ნახევარსაუკუნოვან, თავგანწირულ, მსოფლიო მნიშვნელობის ომებსა და ბრძოლებს რომის იმპერატორთან პონტოს დიდი მეფის მითრიდატე VI ევპატორის წინამძოლობით.



ვაჟიკა ფხოველი

ვირზე რძეშეუშრობელი მოვიდა პოეზიის კარიბჭესთან საყდრიონელი მიტო ცალხელაშვილი. კოხტად აცქერილ ულვაშებიან ჭაბუკს ხედგამოჭრილივით უხდებოდა პოეტური ფსევდონიმი — ვაჟიკა ფხოველი.

მოვიდა და თან მოიტანა დაუოკებელი სიყვარული სიცოცხლისადმი, პოეზიისა და სამშობლოსადმი. გაელვებას ჰგავდა მისი გამოჩენა — სულ 23 გაზაფხულს შეხვდა ეს პატარა მგზნებარე მთიელი. ომის პირველსავე დღეებში გაუდგა საბრძოლო გზას. ბრძოლით გადაიარა უკრაინა, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, და 1945 წლის იანვარში გამარჯვებულ ჩვენს ჯართან ერთად გერმანიაში შევიდა. ბრძოლის ველზეც ლექსებს წერდა, მებრძოლთ აღაგზნებდა და გამარჯვების რწმენით ავსებდა.

სამწუხაროდ, თვითონ ვეღარ იზეიმა გამარჯვება... ჩანჩქერებად მოზღვავებული ლექსებით სავსე გული, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამშობლოსათვის ცვილად დამდნარი“, სადღაც ფრანკფურტთან საძმო საფლავში ჩაიფერფლა... ჩვენგან უდროოდ წასულმა თან წარიტანა ბავშვური ღიმილი, ჭაბუკური ოცნება და პოეტური ჩანაფიქრი.

მრავალი მისი ლექსი დაიკარგა, სანგარში სისხლით ნაწერმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. რამდენიმე ლექსი შეგვრჩა მხოლოდ. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

გამარჯვების ზარი გრგვინავს

არ იქნება გმირთა საქმე
საკმაოდ არ გვახსოვდეს,
ვინც დაეცა სამშობლოსთვის
არ მოკვდება არასოდეს!

ჩვენ იმ გმირთა სადიდებლად,
შესამუსრად ჯალათების,
უკუქცეულ დუშმანს ვუტევთ
ბრძოლის ცეცხლით ანათები.

აქ იბრძვიან, ვისაც გულში
ბრძოლის ცეცხლი გაუღვივდა,
შორ ტუნდრების ბინადარნი,
თუ მოსულნი აულიდან.

აქ იბრძვიან მხოლოდ გმირნი,
გულს არ უკრთობთ ქარ-წვიმები,
აქ იბრძვიან ჩვენი ქვეყნის
უძლეველი არწივები.

ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე
ვერაგ მტერთა დასაქოლად,
გამარჯვების ზარი გრგვინავს
მთელ მსოფლიოს გასაგონად.

წიგნი ეგვიპტის ქვეშეთანაზე

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მკითხველებს მიაწოდა ილია ტაბაღუას ნაშრომი „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა“. წიგნს ახლავს რეზიუმე პოლონურ ენაზე.

ნაშრომში საინტერესოდ არის გადმოცემული პოლონელი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსული, მისი გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სახალხო რესპუბლიკის შექმნისა და სოციალიზმის მონაპოვართა განმტკიცებისათვის. მკითხველი ეცნობა პოლონელი ხალხის თვალსაჩინო მიღწევებს ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში.

წიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორი საგანგებოდ გამოყოფილ თავში გვაცნობს, თუ რა დიდი და საინტერესო ისტორია აქვს ქართველი და პოლონელი ხალხების ურთიერთობას. ამაზე მეტყველებს ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცნობა, აგრეთვე ქართლის მეფის ვახტანგ V-ის წერილი პოლონეთის მეფე იან II კაზიმირისადმი. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. მეფის მთავრობა პოლონელ პატრიოტებს სასჯელის მოსახდელად საქართველოში გზავნიდა, ხოლო ქართველებს პოლონეთში. ასე დაამგობრეს ერთმანეთს ეს ორი ხალხი კაზიმირ ლაფჩინსკიმ და გიორგი ერისთავმა, თადეუშ ლადა-ზაბლოცკიმ და მიხეილ თუმანიშვილმა, ლეონ იანიშევსკიმ და შიო არაგვისპირელმა...


ავტორს მოჰყავს დღევანდელი საქართველოსა და პოლონეთის მეგობრობის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი — ქართული კულტურის დღეები პოლონეთში, პოლონელ და ქართველ მსახიობთა გაცვლითი გასტროლები, ჟურნალისტთა, ხელოვნების მუშაკთა, ლიტერატორთა, მეცნიერთა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირები, ვიზიტები და სხვა.

ნიკო ნიკოლაძე და ალფონს დოდე

ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე დიდხანს ცხოვრობდა ევროპის დიდ ქალაქებში, სადაც ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. ერთ-ერთ წერილში თვითონვე წერდა: „მე დავიარე მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ ალმატა საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები“. ევროპაში მას ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ცნობილ მწერალსა და პოლიტიკურ მოღვაწესთან: პოლ ლაფარგსა და პიერ ლოტთან, გამბეტასა და ლუი ბლანთან, ვიქტორ ჰიუგოსა და ალფონს დოდესთან...

1873 წელს ნიკო ნიკოლაძემ პარიზში გაიცნო და დაუახლოვდა ალფონს დოდეს. როდესაც ახალგაცნობილს ფრანგულად გასაუბრებია, დიდ მწერალს განცვიფრებით უთქვამს — თქვენ ნამდვილი ფრანგი ყოფილხართ, პარიზელი! ჩვენს თანამემამულეს კი უპასუხია: თქვენ კი, არა მარტო თქვენი პერსონაჟებით, არამედ გარეგნობითაც ნამდვილი ქართველი, იმერელი ყოფილხართო!

როგორც ნიკოს ქალიშვილი, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე იგონებს, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ალფონს დოდეს ქართველი მოღვაწე შინ მიუწვევია და ოჯახის სხვა წევრებიც გაუცნია. ამის შემდეგ ნიკოლაძემ სთხოვა დოდეს საქართველოში წამოსულიყო, კერძოდ ჯიხაიშში, უნდოდა საკუთარი თვალით დაენახვებინა მეგობრისათვის „საქართველოს პროვანსი“ — იმერეთი. ჯერჯერობით ეს სიამოვნება ჩემთვის მიუწვდომელია, — უთქვამს დოდეს და უთხოვია, რაც შეიძლება მეტი ფოტოსურათი გამომიგზავნეთ, რომ ჯერ შორიდან გავეცნო თქვენს მშვენიერ ქვეყანასო. როდესაც ნიკო პარიზიდან დაბრუნდა, დაუწყია საქართველოს ხედებისა და ადამიანთა სურათების გადაღება. სხვათა შორის, გადაუღია თავისი ნათესავის ტარიელ ლორთქიფანიძის სურათი. აი რას იგონებს ამის შესახებ პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე: „ეს იყო ჩვენი კუთხის ულამაზესი მოხუცი, ქართული ვაჟკაცური თვალადობისა და ტანადობის ნამდვილი განსახიერება. მამას წინასწარ ჰქონდა წარმოდგენილი ის აღტაცება, რომელიც დოდეს ცეცხლოვან ბუნებაში უნდა გამოეწვია ასეთი გარეგნობის მოხუცის ხილვას“. აქ საინტერესოა, თუ როგორ მოახერხა ნიკო ნიკოლაძემ ტარიელ ლორთქიფანიძის გადაღება. მოხუცი ფოტოობიექტივისათვის მიუკარებელი აღმოჩნდა. რუსუდან ნიკოლაძე იგონებს: „ჯიხაიშში იმჟამად ფოტოგრაფი არავის ენახა; საჭირო იყო ტარიელ ბიძიას ქუთაისში წაყვანა, მაგრამ ამაზე აბა ვინ დაითანხმებდა? მამაჩემის თხოვნა და ხვეწნა მან ახლოც არ მიიკარა. თუ ჩემი დახატვა ნებავთ, თვითონ მობრძანდენ აქ, გზა ხომ იცით.



სურათზე — ტარიელ ლორთქიფანიძე

მამას მოხუცის ამ გაჯიუტებამ გული ვერ გაუტეხა... შეახტა თავის ცხენს, რომელსაც სოკრატი ერქვა, მიაჭროლა ქუთაისში და იქიდან საუკეთესო ეტლით საუკეთესო ფოტოგრაფი აახლა თავის ბიძას; ფოტოგრაფს თან წამოეღო უშველებელი აპარატი, მისი დასამაგრებელი აქლემის სიმაღლის სამფეხით, კასეტფირფიტებით სავსე სკივრისოდენა ყუთით და აპარატზე გადაფარებული საბნისოდენა შავი მაუდით...

მაგრამ, ვაი ასეთ მოსვლასო. — ხშირად იგონებდა მამა იმ თავისი „ფოტოიერიშის“ ეპოპეას. ფოტოგრაფმა თურმე დაუწყო ვედრება: გთხოვთ, აქეთ გამოიხედოთო, ბატონო ჩემო, გთხოვთ ასე მიტრიალდეთ, ამ სკამზე სჯობს თქვენი დაბრძანებაო და სხვა...

ოჰ, რა დიდებული ობიექტიაო!

დიდი წვალების შემდეგ, მრავალტანჯულ ფოტოგრაფს, როგორც იქნა, მარტო პროფილით მოუხერხებია თავისი მიუკარებელი ობიექტის გადაღება. პირდაპირ გამოხედვაზე კი, თურმე, მოხუცი ვერასგზით ვერ დაუთანხმებიათ ვერც საბრალო ფოტოგრაფს, ვერც მასზე არანაკლებ დაჭანცულ მამაჩემს.

ორ საათზე მეტი გაგრძელებულა ეს განუმეორებელი ორთაბრძოლა, რომელიც ნამდვილი მხატვრული ფოტოშედევრით დამთავრდა. როგორც საფრანგეთში, ისე ნეგის ნაპირზე ამ სურათს ყველგან აღტაცება გამოუწვევია, სადაც კი მამას უჩვენებია თავისი მეგობრებისათვის თუ ნაცნობებისათვის“.

აი ასე შრომობდა, იღვწოდა ნიკო ნიკოლაძე, რათა მისი პატარა სამშობლოს სიდიადე გაეცნო მოწინავე კაცობრიობისა და დიდი ადამიანებისათვის. თვითონაც შესანიშნავად წერს: „მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია. მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად იყო თუ კარგად. არც საფრანგეთის ამაღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას, არასოდეს, არც ერთი წამით არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ“.

ეს არის დიდი ადამიანის დიდებული სიტყვები, რომელსაც მწერალი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე პრაქტიკულად და თეორიულად ახორციელებდა. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა როგორც ქართველი ერის მეისტორიე და ამიჯამ ეძებდა დოდეს პარიზის ბუკინისტური წიგნების მაღაზიებში, რედაქციებსა და სენის ნაპირებზე. ერის სიყვარულმა ის დააახლოვა მრავალ რუს და ევროპელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან, რომლებთანაც სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე კავშირი არ გაუწყვეტია.

ალექსანდრე სიგუა

გურჯაანული მალამო

ვინ არ მოუხიბლავს ალაზნის ველივით ლაღსა და ივრის ტალღებივით მჩქეფარე სიმღერას — „გუშინ შვიდნი გურჯანელნი...“ უსმენ ამ გულშიჩამწვდომ ჰანგებს და თვალწინ ზვრებითა და ბაღებით გარშემორტყმული გურჯაანი წარმოგიდგება. დღევანდელი საქართველოს პირმშოა იგი. ორმოციოდე წლის წინათ კი აქ დასახლებაც არა ყოფილა. რკინიგზის სადგურის შენობა და ორი-სამი დუქანი — აი რა დახვედრიათ ქალაქის გასაშენებლად მოსულ ადამიანებს. ახლა გურჯაანი კახეთის ერთ-ერთი უმსხვილესი რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, 8-4-სართულიანი სახლებით დამშვენებული ქალაქია. მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი გურჯაანის ღვინის, რძე-კარაქისა თუ საკონსერვო ქარხნები; ასობით ადამიანი შრომობს ამ ქალაქის აგურის ქარხანაში. გურჯაანში რამდენიმე სრული და დაწყებითი სკოლაა. ქალაქის მშვენებაა ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრი, კულტურის სახლი და კეთილმოწყობილი პარკი.

ის, რომ გურჯაანელთა სახელი ვაზის ნაყურმა გაიტანა ქვეყნად, უველასათვის ცნობილია, მაგრამ გურჯაანელებს სხვაცა აქვთ საამაყო. მთელ ჩვენს ქვეყანაშია ცნობილი კურორტი ახტალა, რომელიც ქალაქის გულში მდებარეობს.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერდა ამ ადგილებს: „...კვალად ჰერემს-ვეჯინის შუა და ვეჯინის ჩრდილოთ, მთის კალთას არს ახტალა, რომელსაც იტყვიან ნასოფლარს და რისხვით დანთქმულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა მდუღარე, აღმოაქვს უამად კოვზი, ჭამი და სახმარი გლეხისა“.

ახტალის წარმოშობაზე უამრავი ლეგენდა არსებობს. ნატო ვაჩნაძე თავის მოგონებებში ერთ ასეთ ლეგენდას გვთავაზობს: იმ ადგილას, სადაც ახლა ახტალაა, ბავშვიან ქალს საეკლესიო დღესასწაულის დღეს — ხარებას, კალო გაემართა და კევრზე შემომჯდარი პურს ლეწავდა. წმინდას დაუშლია დღესასწაულის დღეს საქმის კეთება, ქალი ცოტა ხნით შეჩერებულა, მერე კი პურის ლეწვა გაუგრძელებია. განრისხებულ წმინდანს კალო რუხ ტალახად უქცევია, ხოლო ბავშვიანი ქალი გაუქვავებია. გადმოცემით, ბავშვიანი ქალის მსგავსი ქვა დიდხანს ყოფილა ახტალის მიდამოებში.

ლეგენდები თაობიდან თაობაში გადადიოდა. მათი მოხმენა ზოგს აოცებდა, ზოგს შიშსაც ჰგვრიდა, მაგრამ ახტალის სასწაულმოქმედი ტალახით მკურნალობაზე უარს არავინ ამბობდა. მისი სახელი გასცდა საქართველოს.

ზღვის დონიდან 412 მეტრზე 17,5 ჰექტარზეა გადაჭიმული კურორტი ახტალა. აქ გაშენებულია სანატორიუმ „ალაზნის“ 155-საწოლიანი ორი კორპუსი. აქვე არის ბავშვთა სანატორიუმი „ოქროს ველი“ — 75 საწოლით, სადაც მკურნალობენ პოლიომიელიტის ნარჩენ მოვლენებს. კურორტს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სანატორიუმს აქვს თავისი პოლიკლინიკა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საბაზანო-საპროცედურო შენობა, ფიზიოთერაპიული, ბიოქიმიური, კლინიკურ-დიაგნოსტიკური და რენტგენის კაბინეტები; აქვეა სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზი. საჰაერო-საბაგირო გზა სანატორიუმს აკავშირებს საბაზანო შენობასთან.



ახტალა წარმატებით მკურნალობს სახსრების ქრონიკულ დაავადებას, პერიფერიულ ნერვულ სისტემას, რადიკულიტს, ოშიაზს, ართრიტებს, ართროზებს, ქრონიკულ ოსტეომიელიტებს, ქალურ და სხვა დავადებებს. სანატორიუმში ყოველ წელიწადს 5.000 ავადმყოფი მკურნალობს.

ახტალის ტალახით მკურნალობენ არა მარტო თვით კურორტის ფარგლებში, არამედ თბილისის კლინიკებსა და ბალნეოკურორტებზეც. მას ბორჯომის, ბათუმის, ჭუთაისისა და სხვა ქალაქების სანატორიუმებსა და სამკურნალო დაწესებულებებში ეზიდებიან.

როგორია პერსპექტივები? ამ კითხვით მივმართეთ კურორტის დირექტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს გიორგი ხელაშვილს.


— მალე დამსვენებლებს მოემსახურება ახალი კეთილმოწყობილი სამახადგილიანი სასადილო და სამასორმოცდაათადგილიანი კინოკლუბი, აპროექტებენ 500-საწოლიან სანატორიუმს...

ახლა გურჯაანისკენ მიმავალი კაცი თუ იტყვის ტალახით სამკურნალოდ მივდივარო, თორემ უკან დაბრუნებისას ტალახს აღარ ახსენებს, გეტყვის ახტალის მალამოთი განვიკურნეო.

ნადია მეგალიშვილი,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი,
ქალაქი გურჯაანი.



გურჯაანის ხედებს გთავაზობთ ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის დიმიტრი შალიკაშვილის თხოვნით.



სურათებზე: ზემოდან — ახტალის სანატორიუმის პოლიკლინიკის წინა ხედი; წინმოუსვლელთა ობელისკი გურჯაანში; გურჯაანის ხედი ტყე-პარკიდან.

არსენ ჩარკვიანის ფოტო

დასანანი შედეგები

დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის. დამთავრდა, მაგრამ არ გარკვეულა მთავარი — ვინ იქნება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვის გადაეცემა უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედლები. საქმე ის არის, რომ ორმა გუნდმა — მოსკოვის „დინამომ“ და ცსკამ 45-45 ქულა მოაგროვეს. დებულების თანახმად, მათ შორის გამართულ დამატებით მატჩში გამოვლინდება პირველი და მეორე ადგილის მფლობელი. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა მოსკოვის „სპარტაკი“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უველაზე მეტად ქართველ ფეხბურთელთა მდგომარეობა გვაინტერესებს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ შედეგები არადამაკმაყოფილებელია. ქუთაისის „ტორპედო“ რომ უმაღლეს ლიგას გამოეთიშა, იმდენად გულდასაწყვეტია, კომენტარს აღარ საჭიროებს. დიახ, გაისად საქართველო საბჭოთა კავშირის პირველობაზე მხოლოდ ერთი გუნდით წარდგება. „ტორპედომ“ 32 თამაშიდან 23 ქულა მოაგროვა და ოდესის „ჩერნომორეცსა“ და ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ ერთად „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი დატოვა.

თბილისის „დინამოსათვის“ მეოთხე ადგილი დასაძრახი როდია, მაგრამ რესპუბლიკის საუკეთესო გუნდს, რომელმაც საკუთარ მოედანზე 16 მატჩში მხოლოდ ორი ქულა დაკარგა, თამამად შეეძლო ოქროს მედლებისათვის ებრძოლა. სამწუხაროდ, თბილისში გამარჯვებას, როგორც წესი, მოწინააღმდეგის მინდორზე დამარცხება მოსდევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ „დინამომ“ გასვლით მატჩებში ერთი შეხვედრის მოგებაც ვერ შეძლო. საკუთარ მოედანზე მოპოვებულ 30 ქულას მათ სტუმრად მოპოვებული მხოლოდ 6 ქულა შეამატეს.

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელთა მიერ მოწინააღმდეგის კარში გატანილი 43 ბურთიდან ჩვიდმეტი წლევანდელი ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირს, „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელს გივი ნოდიას ეკუთვნის.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	32	20	5	7	46-17	45
„დინამო“ (მ.)	32	19	7	6	50-22	45
„სპარტაკი“ (მ.)	32	12	14	6	43-25	38
„დინამო“ (თბ.)	32	14	8	10	43-30	36
„ზარია“ (ვ.)	32	10	14	8	27-25	34
„ტორპედო“ (მ.)	32	12	10	10	36-38	34
„დინამო“ (კ.)	32	14	5	13	36-32	33
სკა (როსტ.)	32	9	15	8	28-29	33
„დინამო“ (მნ.)	32	11	10	11	33-29	32
„შახტიორი“ (დ.)	32	11	8	13	35-50	30
„ნეფტჩი“ (ბ.)	32	9	11	12	27-28	29
„არარატი“ (ერ.)	32	10	9	13	31-34	29
„პახტაკორი“ (ტ.)	32	8	12	12	28-46	28
„ზენიტი“ (ლ.)	32	10	7	15	30-40	27
„ჩერნომორ.“ (ო.)	32	8	10	14	25-38	26
„ტორპედო“ (ქ.)	32	6	11	15	24-42	23
„სპარტაკი“ (ორჯ.)	32	7	8	17	31-48	22

კაცის სვეტის ღუნესასნაული

„ხრამსა შინა კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი, მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალის კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღვსვლისა“ — ამბობდა ვახუშტი ბატონიშვილი კაცხის სვეტზე.

„კაცხი“ სვანურად მწვერვალს ნიშნავს. ასეთი სახელწოდების სოფელია ჭიათურის ახლოს დიდებული კაცხის სვეტით. ამ სვეტზე მეორე საუდარიც ყოფილა მეხუთე საუკუნეში ნაშენი და აწ დანგრეული. ხოლო შერჩენილი მეექვსე საუკუნისად თარიღდება. ამბობენ, სვეტი აღრე წარმართთა კერპი ყოფილა და შემდგომ ჯვრის ამოკვეთით გაუქრისტიანებიათო. ამ დღეებში სვეტის თავზე ოცდახუთი დროშა აიტანეს ჭიათურელმა მთამსვლელებმა. ზეიმობდნენ ამ სვეტის პირველი დამპყრობის, აქაური კაცის, დიდი მთამსვლელის ალიოშა ჯაფარიძის დაბადების 70 წლისთავს, ამასთანავე სვეტზე ასვლისა და მისი ამოცნობის 25 წლისთავს. აქ იყვნენ მომსწრენი ამ ამბისა და არა მარტო მომსწრენი, უშუალო მონაწილენიც.

მაშინ, 1944 წლის 29 ივლისს საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტმა მოაწყო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მწერალი ლევან გოთუა — ექსპედიციის ხელმძღვანელი, ალიოშა ჯაფარიძე — ინჟინერი, მთამსვლელი; ვახტანგ ცინცაძე — ხუროთმოძღვარი, მთამსვლელი; აკაკი ბელიაშვილი — მწერალი. სწორედ ისინი ავიდნენ პირველად ამ სვეტზე და მათ აღმოაჩინეს V-VI საუკუნის ეს ორი ეკლესია.

ზეიმზე მწერალი ლევან გოთუა დიდი გულითადობით იგონებდა იმ დღეს. ხოლო ალიოშა ჯაფარიძის და, მამაცი მთამსვლელი ქალი ალექსანდრა მღვლვარებით ადევნებდა გულისყურს აქ თქმულსა და განცდილს.

სტუმრებმა და მასპინძლებმა საცნაური გახადეს დღესასწაულის ყველა მონაწილესათვის ჯაფარიძელთა ოჯახის დიდი ღვაწლი ქართულ მთამსვლელობაში.

სანიჭაოსნო სლალომი

● ამას წინათ ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში, მდინარე რიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველი პირადი პირველობა სანიჩბოსნო სლალომში. ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იყვნენ ოლიმპიურ ასპარეზობათა პრიზიორები, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები ნიჩბოსნობის სხვა სახეობებში. საქართველოდან შეჯიბრებაში ხუთი სპორტსმენი მონაწილეობდა. საბოლოოდ ყველას ლენინგრადელებმა ტატიანა ვორობიოვამ, ვალერი ლუტკინსკიმ, ალექსანდრე შოლონიკოვმა და ვლადიმერ ტაბაჩნიკოვმა აჯობეს.

მშვილდოსნობა

● ნიკოპოლში გაიმართა უკრაინის მშვილდოსანთა ღია ჩემპიონატი. გვასახელა საქართველოს ჩემპიონმა ქეთევან ლოსაბერიძემ. მან 30 მეტრიდან სროლაში 327 ქულა დააგროვა, საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და შეჯიბრიც მოიგო.

ხელბურთი

● დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა IX საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის „ქარიშხალამ“ 28 თამაშიდან 26 ქულა მოაგროვა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

წყალბურთი

● პოზიციები დათმეს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა, საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამართული 18 თამაშიდან მათ მხოლოდ 16 ქულა მოაგროვეს და მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ.

ჰიდრობა


● თელავში სამ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ასპარეზობათა პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება ქართულ ჰიდრობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 11 კოლექტივი. გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა კახეთ მოჭიდავეთა ნაკრებმა, II საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ ლენტეხელები, მესამე ადგილზე კი თელაველები.

სპორტი

წინ არის „მეტალურგი“

მალე დამთავრდება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. მორიგი ტურის შეხვედრებმა საინტერესოდ ჩაიარა, მაგრამ მათს შედეგებს ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობაზე არსებითი ცვლილებები არ მოუხდენია.

სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ ზესტაფონის „მეტალურგს“ ვხედავთ. ზესტაფონელებმა თაყვანთი მეორმოცე თამაში გამართეს თერჯოლაში ადგილობრივი „იმერეთის“ წინააღმდეგ, გაიმარჯვეს 3:2 და 59 ქულით პირველი ადგილი უჭირავთ. ამდენივე თამაში აქვთ გამართული სამტრედიის „ლოკომოტივსა“ და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს, მაგრამ ისინი ლიდერს ორორი ქულით ჩამორჩებიან. პირველ მათგანს მეორე ადგილი უკავია, მეორეს — მესამე. აი სწორედ ეს სამი გუნდია დღეისათვის საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები.



ქახეთში ჰიდრობის სიმაღლეზე ჯერ სპორტის არც ერთი სახეობა არ ასულა. საგარეჯოშიც ჯერ ჰიდრობას სცემენ პატივს და მერე ფეხბურთს...

ამის ახსნა ძნელი არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ საგარეჯო ყოველთვის მოჭიდავეებით იყო ქებული.

იმ წუთებში, როცა ზუზუნებს ზურნა და დოლის რიტმს უერთდება სისხლის ჩქროლვა, როცა ერთიმეორეს ერკინებიან საჭიდაო ჩოხებში გამოკვალთული გარეჯელი და ვიორგიწმინდელი, კაკაბელი და ყანდაურელი, ნინოწმინდელი და პატარძეულელი ფალავნები, მათ ნახვას არაფერი სჯობია.

აქ თითქმის ყველა ჰიდრობს. ქართული ჰიდრობის ფანდებით იკვლევენ გზას საერთაშორისო სარბიელისაკენ და მერე ჰიდრობენ კლასიკური და თავისუფალი სტილით, ჰიდრობენ სამბოსა და ძიუ-დოს.

ყველა სოფელს მოჭიდავეთა საკუთარი გუნდი ჰყავს, გუნდს — მწვრთნელი. სათითაოდ ჩამოგითვლიან, რომელმა მწვრთნელმა აღმოაჩინა ესა თუ ის მოჭიდავე. პატარძეულელ გოლიათს გივი ონაშვილსაც მისმა თანასოფლელმა, სპორტის ოსტატმა მურთაზ ელერდაშვილმა მიაგნო.

— ჰიდრობა მხოლოდ ორგანიზმის გასაკაჟებლად დავიწყე, — ამბობს გივი.

— ონაშვილი კარგად თამაშობდა ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს, ჰიდრობაშიც ჯანი მოსდევდა. სწრაფი და აზრიანი მალე ითვისებდა ილეთებს. ვგრძნობდი, რომ დიდი მოჭიდავე დადგებოდა. ასეთი ღონის გოლიათს უჩვეულო სისწრაფე აქვსო, მითხრა მურთაზ ელერდაშვილმა.

თვრამეტი წლის პატარძეულელმა გოლიათმა დიდ სარბიელზე შედგა ფეხი. 1966 წელს ქალაქ ყაზანში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახდა.

1969 წელს ბელგიაში გაიმართა ევროპის პირველობა ძიუ-დოში. ამ შეჯიბრებაზე გივი ონაშვილი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონთან, ჰოლანდიელ რაუსასთან. ევროპაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიხვეჭა და ბევრი ქვეყნის სახელგანთქმული ფალავანი წამოაჩოქა.

— ძიუ-დოში ჯერჯერობით იაპონელებს ბადალი არა ჰყავთ. მათ მეტოქეობას უპირველესად საბჭოთა მოჭიდავეები უწევენ, — მითხრა გივიმ. — ჩვენ, ქართველები, ეროვნული ჭიდაობის ფანდებით გავდივართ ფონს. მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილიც ხშირად მეუბნება: გდებისათვის ქართული ხერხები გამოიყენე. უნაკლოდ გამოყენებული ჩვენებური ფანდი მეტოქის კისრამდე მიგიყვანს და შეგეძლება მახრჩობელა ილეთს მიმართო.

მექიკოს მსოფლიო პირველობაზე ქართველმა ძიუ-დოისტმა ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა; დაამარცხა უეროპის აბსოლუტური ჩემპიონი გერმანელი მაიერი, ჰოლანდიელი ვეელანსი და მსოფლიოს ჩემპიონი იაპონელი მატცუნაგა.

მატცუნაგას დამარცხება იაპონიის სპორტის მესვეურებმა ძალიან მძიმედ განიცადეს. გივის უდიდესი შესაძლებლობა ჰიდრობის მთელმა სამყარომ ირწმუნა. ფრთხილობდნენ მეტოქეები, ფრთხილობდნენ მწვრთნელებიც. მაგრამ გივი ონაშვილი წლეულსაც საუკეთესო იყო ევროპის პირველობაზე — მისმა გუნდმა ხომ ყველა მეტოქე დაჯაბნა და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

— საბჭოთა კავშირის უკანასკნელ პირველობაზე იმედი მაინცა და მაინც არ მჭონდა, მარცხენა მკლავი მტკიოდა. თანაც, ჩემ წონაში ერთიმეორეზე უკეთესი და სახელგანთქმული ოცამდე ფალავანი გამოდიოდა. ყველა შეჯიბრება მოვიგე და ფინალში მოლდაველი გოლიათი ვალენტინ კუცუ დავამარცხე,— ისე სხვათა შორის ლაპარაკობს ჰიდაობაზე ჩემი მევობარი, თითქოს სამ წელიწადში ოქროს ორი, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი მედალი არ მოეპოვებინოს...

ძიუ-დოისტთა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ოლიმპიური იმედი, ევროპისა და მსოფლიოს ასპარეზობათა პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გივი ონაშვილი ახლა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ემზადება.

გივის შესახებ ბეჭდაუდებელ ფალავანს არსენ მეკოკიშვილს უთქვამს — მე ეს ჭაბუკი შემცვლისო. ლეგენდარული არსენას წინასწარმეტყველება მართლდება, ძიუ-დოს სტილით მოჭიდავე ქართველი გოლიათი ყოველთვის საუკეთესოთა შორის აღმოჩნდება ხოლმე, დღითიდღე იზრდება და მრავალ ქომაგსა და დამფასებელს იძენს.

ბიჭადაც ისეთია, შეხედავ და გაგეხარდება. ყველაფერი ხელს უწყობს — გარეგნობა და ფიზიკური ძალა, მოქნილობა და გულკეთილობა. სადაც უნდა გამოდიოდეს, სამშობლოში თუ უცხოეთში, უმალვე საყოველთაო სიმპათიას იმსახურებს, ყველა ამ ჭაბუკის გულშემატკივარი ხდება, ჭაბუკისა, რომელიც მეტოქესთან შერკინებაში ვაჟკაცობასთან ერთად ამდენ არტისტიზმსა და მოხდენილობას აქსოვს.

ჯემალ ჟურხული

ჩემი მეგობარი გივი

უკანასკნელ შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ ჩემ მეგობარ გივის გავეხუმრე: — მინდა შენზე დავწერო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდები. გივიმ გაიცინა — ჩემპიონობა არ იქნება ადვილი, რადგან ჩვენს ქვეყანაში ახლა მრავალი მძიმე წონის გოლიათი ჭიდაობს, რომლებიც ერთიმეორეს დიდად არ ჩამოუვარდებიან. ბოლოს თითქმის სერიოზულად თქვა: მაგრამ ვალდებული ვარ მეგობრის სურვილი შევასრულო და ჩემსას ვეცდებიო.

ამ საუბრიდან ორი კვირის შემდეგ მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ მძიმე წონაში უველა მეტოქე დაჯაბნა ახალგაზრდა ქართველმა გოლიათმა გივი ონაშვილმა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ახლა მეც მინდა დაპირება შევასრულო და მოგითხროთ ჩემი მეგობრის გივი ონაშვილის შესახებ.



ძვირფასო რედაქტორო!

უღრმესი მადლობა თქვენი ძვირფასი გაზეთისა და ახალი ამბებისათვის. დიდად ვიფასებ თქვენს კეთილ ზრახვებს. ამასთანავე მაინტერესებს, ხომ არ შეგეძლოთ „სამშობლოს“ ინგლისურად დაბეჭდვა. თუ დაბეჭდავდით, დიდი მადლობელი ვიქნებოდი, რადგანაც ახლა ამ გაზეთს სხვებს ვათარგმნინებ ინგლისურად. უნდა გითხრათ, რომ მე, ქართველს, მცხვენია ჩემი სამშობლოს წინაშე ქართულის უცოდინარობა. თუმცა, ჩემი სამშობლო და დაბადების ადგილი — გორი, ჩემთვის ყოველთვის იმდენად ძვირფასი და საყვარელი იყო, რომ მნიშვნელობა არა აქვს, სად ვიმყოფები. მოვკვდები როგორც ქართველი.

11 წლისა ვიყავი, როდესაც მშობლები დავკარგე თბილისში, მეხსიერებამ კარგად შემინახა 1917-1918 წლების რევოლუცია, რომელიც ჩემს ქვეყანაში მოხდა. 1919 წელს ბრიტანეთის არმიამ ინგლისში წამიყვანა, 1923 წლიდან კი ემიგრირებული ვარ ავსტრალიაში.

47 წელიწადია ვცხოვრობ სიდნეიში და მყავს 5 ავსტრალიელი ბავშვი. უმცროსი, გოგონა 8 წლისაა, მე კი ახლა 65 წლისა ვარ. სერიოზულად ვფიქრობ ახლო მომავალში ჩემს სამშობლოში ჩამოსვლაზე. ამ გადაწყვეტილების მიღება გამიადვილდა მას შემდეგ, რაც შევხვდი და ველაპარაკე ჩემს თანამემამულეებს, „საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის“ ხელმძღვანელებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს, რომლებიც ახლახან იყვნენ სიდნეიში და დატოვეს უდიდესი შთაბეჭდავი კულტურა, როგორსაც არასოდეს იცნობდნენ ავსტრალიაში. უნდა გითხრათ, ამ ტურნეს შემდეგ საქართველომ იპოვნა თავისი ადგილი მსოფლიო რუკაზე. სიდნეიში ახლაც ლაპარაკობენ მათზე და მათს ვიზიტზე.

დიდი მადლობელი ვიქნებოდი თქვენი, თუ პატივს დამდებდით და მოშაძებინებდით ნათესავებს. გიგზავნით ცნობებს ჩემი ნათესავების შესახებ, ჩემი ბავშვობის ფაქტებს და ვგრძნობ ჩემი ახალგაზრდობის სურათს იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენი გაზეთის საშუალებით გააგებინებდით მათ, რომ ცოცხალი, კარგად ვარ და ვცხოვრობ ავსტრალიაში.

ამასთან დიდად დამავალებთ, თუ ძალიან არ შეწუხდებით და გამომიგზავნით წიგნებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, რათა შესაძლებლობა მქონდეს თვითონაც გავეცნო და შვილებსაც პირველწყაროდან გავაცნო საქართველო და ქართველები.

სიდნეიში აქამდე, სანამ მოცეკვავეები არ ჩამოვიდნენ, მოსახლეობის 90 პროცენტს თითქმის არაფერი სმენოდათ ქართველების შესახებ, და კვლავ სიამაყით აღვნიშნავ, რომ მათ დიდი ინტერესი გამოიწვიეს ავსტრალიაში.

გულწრფელად თქვენი
ჩარლ ზახაროვი (შალვა გიგოლაშვილი)

ცნობები

ჩემი სახელი და გვარია შალვა გიგოლაშვილი, დავიბადე 1905 წლის 1 სექტემბერს გორში.

მყავდა ძმა — თედო გიგოლაშვილი.

ჩემი დაბადების მოწმობის თანახმად, მამას ერქვა ნიკოლაი ზახარიევი და მის კანონიერ მეუღლეს — სოფია არზომორნა (უნდა ვიფიქროთ, რომ დაბადების მოწმობა დაწერილია რუსულ ენაზე, განმცხრების თავიდან აცილების მიზნით, მასში მშობლები აღუნიშნავთ გვარის გარეშე, მხოლოდ სახელითა და მამის სახელით — „ნიკოლაი ზახარიევიჩ“, ე. ი. შალვას მამა უნდა ყოფილიყო ნიკოლოზ ზაქარიას ძე გიგოლაშვილი — რედაქცია).

შემდეგ ბატონი შალვა გვაწვდის დაბადების მოწმობიდან ამოკრეფილ ცნობებს ნათლიების, ნათლობაში მონაწილე მღვდლისა და დიაკვნის, ნათლობის ადგილის შესახებ...



● სურათზე: შალვა გიგოლაშვილი. გადაღებულია 1923 წელს ავსტრალიაში ჩასვლისას.

ბატონო შალვა! როგორც ხედავთ, ვასრულებთ თქვენს თხოვნას და სიამოვნებით ვაქვეყნებთ გაზეთში თქვენს ბარათსა და სურათს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „სამშობლოს“ მკითხველები, განსაკუთრებით ჭალაჭ გორიდან, დაგვეხმარებიან და გვაპოვნინებენ თქვენს ნათესავებს. თუ ასე მოხდა, დაუყოვნებლივ გახარებთ გაზეთის საშუალებით. მაშინ თქვენი მეორე სურვილიც — ეწვიოთ საქართველოს — კიდევ უფრო მიმზიდველი აღმოჩნდება და ფრთებსაც მალე შეისხამს. მანამდე კი შეიძიდებით ყოველმხრივ შეგიწყოთ ხელი თქვენი კეთილშობილი განზრახვის — თვითონაც გაეცნოთ და შვილებსაც გააცნოთ საქართველო, მისი ერი, წარსული და აწმყო, — განხორციელებაში. ამაზე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ უკვე იზრუნა და, ალბათ, სასურველ ლიტერატურასაც მალე მიიღებთ.

რაც შეეხება თქვენს წინადადებას „სამშობლოს“ ინგლისურ ენაზე დაბეჭდვის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ განვახორციელებთ. ჩვენი მიზანია ამ გაზეთით დავეხმაროთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს არა მარტო საქართველოს ამბების გაგებაში, არამედ ქართული ენის შესწავლაშიც. ამდენად, ჯერჯერობით, სანამ ქართულ ენას შეისწავლიდეთ, კვლავ მოგიხდებათ დახმარებისათვის ქართველ მეგობრებს ნომართოთ.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ნათესავების პოვნის, სამშობლოში ჩამოსვლის თქვენი სანუკვარი ოცნების მალე ახდომას.

კეთილი სურვილებით — გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია.

ქართული სამზარეულო

ნიგოზში მოშუშული სუკი

ძროხის სუკი (600 გრამი) გარეცხეთ, დაჭერით საშუალო სიდიდის ბრტყელ ნაჭრებად, ერთ ფენად მოათავსეთ ცხელ ტაფაზე, დადგით ნელ ცეცხლზე და მოშუშეთ. მოშუშვის დროს ხანგამოშვებით ასხით ცოტ-ცოტა მდუღარე წყალი. როცა ხორცი მოიშუშება და წვენს შეიშრობს, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ცხიმი და ორივე მხრიდან შეწვით, თან მარილი მოაყარეთ. წვრილად დაჭრილი სამი-ოთხი თავი ხახვი ერთ-ორ სუფრის კოვზ ცხიმში მოხრაკეთ და შემწვარ ხორცს დააყარეთ.

3/4 ჩაის ჭიქა ნიგოზი, ორი კბილი ნიორი, ორი ღერი ქინძი, თქვენს გემოზე წიწაკა და მარილი ერთად დანაყეთ, შეურიეთ დანაყილი ქინძის თესლი (ნახევარი ჩაის კოვზი), მიღებული ნიგვზიანი მასალა ალესეთ ნადუღ წყალში, დაასხით ტაფაში მოთავსებულ ხახვიან შემწვარ ხორცს, დაახურეთ ხუფი და შუშეთ 5-8 წუთს.


სურნელოვანი კუჭმაჭი

ორი შინაური ფრინველის მოხარშული კუჭმაჭი (კუჭი, ღვიძლი, გული, ფეხები, ფრთის წვერები) დაჭერით წვრილად. ფეხები და ფრთის წვერები დაჩეხეთ. შემდეგ ცხელს შეურიეთ თქვენს გემოზე დანაყილი წიწაკა, პილპილი, ქინძის თესლი, გამხმარი ქონდარი, მარილი და ერთი სუფრის კოვზი ღვინის ძმარი.

მუჭუჭი

2 კილოგრამი ბურვაკის ხორცი და ფეხები დაჭერით და მოხარშეთ. მოხარშული ხორცი ამოალაგეთ ლანგარზე, ზემოდან მოაყარეთ მარილი და შეაგრილეთ. ნახარშ წვენს დაუმატეთ ღვინის ძმარი (ერთი წილი ნახარში წვენი და ერთი წილიც ღვინის ძმარი), ჩაყარეთ შიგ დაფნის ფოთოლი, ბაძარი (Pimenta officinalis), მარილი, ხარშეთ 5-10 წუთი და შემდეგ შეაგრილეთ.

გაცივებული ხორცი ჩააწყეთ შესაფერ ჭურჭელში, დაასხით გამზადებული ცივი ნახარში წვენი, დაახურეთ თავი და შეინახეთ გრილ ადგილას. ორი-სამი დღის შემდეგ მზად იქნება.



ასე ცხვება თორნის პური
ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

მოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით. საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით, მოკლე ტალღაზე — 50,59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

დაგვქორწინეს, მოგვილოცავს

სანდრო (ალექსანდრე) პავლეს ძე მარგალიტაძეს,

დაბადებულს 1900 წელს მახარაძის რაიონის სოფელ გოგორეთში, ძეებენ მეუღლე — **ელენე,** შვილები — **სულიკო, გიორგი, ლამარა, კუკური,** ძმები — **არსენ, დავით, გერასიმე მარგალიტაძეები,** მცხოვრებნი მახარაძის რაიონის სოფელ მირიაში.

გიკენტი ლუკას ძე იმნაძეს,

დაბადებულს 1913 წელს ლანჩხუთში, ძეებს და — **ნინო იმნაძე,** მცხოვრები ბათუმში, სვერდლოვის ქუჩა № 3, ბინა № 23.

დავით სიმონის ძე სართანიას,

დაბადებულს 1910 წელს გიგლაჩორის რაიონის სოფელ თამაკონში, ძეებენ მეუღლე — **მარო,** შვილები — **მურმან, იზოლდა, როინა,** და — **აგრაფინა,** ძმები — **ვალოდია, რაულენ სართანიები,** მცხოვრებნი ჭალაჭ ცხაკაიაში, „პრავდის“ ქუჩა № 14.

შოთა სილიბისტროს ძე კობეშავიძეს,

დაბადებულს 1918 წელს წოლოკიძის რაიონის სოფელ ნახულევში, ძეებენ დედა — **ლიპა,** დები — **სონია, ლუბა, ქეთო კობეშავიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, რევოლუციის შესახვევი № 17.

ძმებს იასონ, შალვა ბაგრატის ძე კვარაცხელიებს,

დაბადებულთ 1914 და 1919 წლებში წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში, ძეებენ დედა — **მარო,** და — **შაში,** ძმები, — **გრიგოლ, მიხეილ კვარაცხელიები,** მცხოვრებნი სოფელ ჯგალში.

ირაკლი ვლადიმერის ძე კაკაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთში, ძეებენ დედა — **ნატალია,** დეიდა — **დარა,** ბიძა — **გრიგოლი,** დისწულები — **მილა, თამარ, ნინო რეხვიაშვილები,** მცხოვრებნი რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩა № 58.

დომენტი კონსტანტინეს ძე ჰანტურიას,

დაბადებულს 1905 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, ძეებენ მეუღლე — **ვერა,** შვილები — **თინათინ, ჰენრიეტა, სულიკო ჰანტურიები,** მცხოვრებნი სოფელ ლიაში.

ნოე (გიჟიკო) პეტრეს ძე თოხაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ლანჩხუთში, ძეებენ დები — **ნინო, საშა, ელენე, ლიდა თოხაძეები,** მცხოვრებნი ლანჩხუთში, ლენინის ქუჩა № 86.

მიხეილ სიმონის ძე ნადირაშვილს,

დაბადებულს 1917 წელს თბილისში, ძეებენ მეუღლე — **თინა ბაღდავაძე-ნადირაშვილი,** შვილი — **ვაჟა,** შვილიშვილი — **მიშა ნადირაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი № 22 (ყოფილი ბრძოლის ქუჩა).

მიხეილ ნიკოლოზის ძე ჯაბისაშვილს,

დაბადებულს 1907 წელს გორის რაიონის სოფელ ნადაბურში, ეძებენ შვილები — **ლუბა, ნათელა, სონია ჯაბისაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ახალი არსენალის ქუჩა № 22.

გური ვლადიმერის ძე სიხარულიძეს,

დაბადებულს 1898 წელს ჩოხატაურის რაიონი სოფელ ბუკისციხეში, ძეებენ მეუღლე — **ნინა,** შვილები — **ტარიელ, გიგა, ვლადიმერ, ვალიდა სიხარულიძეები,** მცხოვრებნი ბათუმში, შავჩიჩხოს ქუჩა № 4.

რედაქტორი
ვასტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488.

ფასი 5 კაპ.